F-171
1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

8

F 3477

აგვისტო

თბილისი—1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 12 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/XI-70 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5. ქაღალდის ზომა 60×84. სისტემბო ფორმითა რაოდენობა 5

შეკვ. 915. უე—11133 ტირაჟი 5.000.

ხაკ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის საბელმწიფო კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография № 11 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете Министров Груз. ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 4 მაისის ბრძანება № 241

ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქ. ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის მუშაობის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ სკოლა ძირითადად დაკომპლექტებულია სათანადო ცენზისა და გამოცდილების მქონე მასწავლებლებით. სკოლა მუშაობს წლიური გეგმის საფუძველზე, რომელიც დამაკმაყოფილებლად არის შედგენილი. ასევე დამაკმაყოფილებელია პედაგოგიური საბჭოს მუშაობა. პედაგოგიური საბჭოს სხდომები იწვევა რეგულარულად, იხილება და ვლინდება ცალკეული საგნების სწავლებისა და კლასის ხელმძღვანელების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და ისახება საჭირო ღონისძიებანი მის გამოსასწორებლად. სკოლის დირექტორ ა. გაჩეჩილაძეს და დირექტორის მოადგილეებს სასწავლო დარგში ე. გურგენიძესა და ლ. პონომარიოვს საკმაო რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები და ანალიზებიც დამაკმაყოფილებელია. დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სკოლაში მეთოდური მუშაობა. სკოლაში მოსწავლეთა დისციპლინის დარღვევის შემთხვევები მცირეა. გასულ 1968—1969 და მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევის 5 შემთხვევა იყო, რაზედაც სკოლის დირექციას სათანადო რეაგირება აქვს გაკეთებული. საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებისათვის რიგი ღონისძიება ტარდება—სკოლიდან განთესილია სასკოლო ასაკის მხოლოდ ერთი ბავშვი. ამასთან, სწავლების ორგანიზაციის დარგში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს, სკოლის გაკვეთილების ცხრილი პედაგოგიურად და მეთოდურად არასწორად არის შედგენილი, სასწავლო დღეები ერთნაირი სიძლიერის საგნებით არ არის დატვირთული; ერთფეროვანი საგ-

ნები ცხრილში მიჯრით არის მოცემული, ორ და სამსაათიანი დისციპლინები ზოგჯერ უშუალოდ არის განლაგებული და სხვ.

ქართულ ენაში დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს ქართული სექტორის V კლასის (მასწ. თ. იაკობაშვილი) და რუსული სექტორის IX კლასის (მასწ. ბ. გვენცაძე) მოსწავლეებმა. V კლასის მოსწავლეებმა კარგად არ იცოდნენ გაკვეთილი „რიცხვითი სახელი". მასწავლებელი მოსწავლეებს ავარჯიშებს როგორც ზეპირად, ასევე მაგალითებს აძებნინებს ლიტერატურულ ნაწარმოებში, რაც ხელს უწყობს სწორი მეტყველების ჩვევების დანერგვას. მასწავლებელმა თ. იაკობაშვილმა გაკვეთილი—„ნაცვალსახელი" მოსწავლეებისათვის გასაგებად ახსნა. აგრეთვე დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა ცოდნა რუსული სექტორის IX კლასში. ბავშვები იჩენენ მკვიდრ ინტერესს ქართული ენის შესწავლისადმი—ისინი მეტყველებენ, წერენ და კითხულობენ სწორად.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელი ფ. დადიანი ფლობს საგანს, ქართულ ლიტერატურაში X კლასების მოსწავლეთა მომზადების დონე არ არის დამაკმაყოფილებელი; მოსწავლეებმა სუსტად იციან ტექსტის შინაარსი და სავალდებულო საზეპირო ადგილები, ნაკლებად აქვთ მხატვრული მეტყველების ჩვევები, ვერ ადგენენ ნაწარმოების მარტივ და რთულ გეგმას, ვერ ერკვევიან ლიტერატურის თეორიის საკითხებში. ასე. მაგალითად, მათ არ იციან ლიტერატურის გვარები, ვერ გაარკვევენ რას ეწოდება რომანი.

დაბალია მოსწავლეთა წერის კულტურა. X[1] კლასში ჩატარდა საკონტროლო წერა, მასწავლებელმა თვითონ შეარჩია თემა „ჩამოკდებული ნამგალა მთვარე" („არსენა მარაბდელიდან"), რომელიც წინა დღეს ჰქონდათ გაკვეთილად. წერითი სამუშაო შეასრულა 23 მოსწავლემ. შეფასება ნიშანი „3" მიიღო—12-მა, ხოლო ნიშან „2"-ზე შეფასდა 11 წერითი ნამუშევარი საერთოდ სკოლაში ქართული ენის სწავლების საქმეში აღგილი აქვს წერით ნამუშევრებში დაშვებული შეცდომების გაუსწორებლად დატოვების შემთხვევებს და ზოგჯერ ნამუშევრები ლიბერალურად არის შეფასებული.

ქართული სექტორის მე-7 კლასში, რუსული ენის მასწავლებელი გ. გოცაძე გულდასმით ემზადება გაკვეთილებისათვის, ადგენს გაკვეთილის გეგმებს და გაკვეთილს მეთოდურად სწორად წარმართავს. იგი საკითხებს აყენებს ზუსტად, მოსწავლეები მუ-

შაობაში აქტიურად არიან ჩაბმული. მასწავლებლის მიერ დაყენებულ ყველა საკითხზე მოსწავლეები ძირითადად პასუხობენ სწორად. მასწავლებელი გაკვეთილზე აწარმოებს გავლილი გრამატიკული მასალის განმეორებას, ორგანულად უკავშირებს სიტყვასა და მორფოლოგიას. გაკვეთილზე შეინიშნებოდა, რომ სალექსიკონო მუშაობა წარმოებული იქნა არასაკმაოდ, არ იქნა გამოყენებული თვალსაჩინოება, გარდა დაფისა. აგრეთვე ნაკლებად წარმოებს მუშაობა მოსწავლეებში გამომეტყველებითი კითხვის განვითარებისათვის.

ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა რუსული ენის გაკვეთილი მე-5 კლასში. მასწავლებელმა ლ. აბულაძემ აწარმოა განმეორება ლ. ტოლსტოის იგავისა—„ორი ამხანაგი". მან არ გამოიყენა ეს ძვირფასი მასალა აღმზრდელობით მიზნით, მოსწავლეთა მიერ მეტყველების დროს დაშვებულ შეცდომებს არ ასწორებდა, ეკითხებოდა ერთსა და იგივე მოსწავლეს, კლასის მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა კი პასიურად იყო. მასწავლებელი არ იყენებს თვალსაჩინოებას—სახელმძღვანელოში არსებულ ილუსტრაციებსაც კი. დაბალია მოსწავლეთა კითხვის ტექნიკა. გაკვეთილის მე-2 ნაწილი, რომელიც გრამატიკული მასალის შესწავლას მიეძღვნა, უფრო უკეთესად ჩატარდა. მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებლად იციან ენის კანონები, გრამატიკული გარჩევისათვის გამოყენებული იყო წინადადებები-ივან არაკიდან „ორი ამხანაგი"; მასწავლებელს არ უწარმოებია გავლილი მასალის განმეორება; მოსწავლეებმა არ იციან ალფავიტი, ზოგჯერ თვით მასწავლებელი მეტყველებისას უშვებს შეცდომას.

არადამაკმაყოფილებლად ჩაატარა რუსული ლიტერატურის გაკვეთილი მე-9 კლასში მასწავლებელმა მ. ბედინაშვილმა; ივი არავითარ ყურადღებას არ აქცევს სალექსიკონო მუშაობას, არ ახდენს მოსწავლეთა მეტყველების დროს დაშვებული შეცდომების გასწორებას და თვით უშვებს რიგ შეცდომებს. მასწავლებელი არ მუშაობს მოსწავლეთა მეტყველების განვითარებისათვის. მასწავლებლები აბულაძე და ბედინაშვილი სათანადოდ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, გაკვეთილის გეგმას ადგენენ სქემატურად.

რუსული სექტორის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ლ. პანომარენკო, მ. ტარასიუკი, ვ. შერბინა მაღალ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს, იყენებენ თვალსაჩინოებას, ტაბულებს. მოსწავლეთა მომზადების დონე დამაკმაყოფილებელია.

საკონტროლო წერის ნორმები ყველა მასწავლებელს შესრულებული აქვს. მასწავლებელი გოცაძე წერით ნამუშევრებს გულდასმით არ ასწორებს, ეპარება შეცდომები.

მასწავლებლები ლ. მჭედლიძე და ქ. კიკნაძე დამაკმაყოფილებლად ფლობენ ფრანგულ ენას და მისი სწავლების მეთოდებს. VI, VII, VIII კლასების მოსწავლეებმა გამოამჟღავნეს გავლილი საპროგრამო მასალის დამაკმაყოფილებელი ცოდნა: ისინი გადმოსცემენ ნასწავლი ტექსტის შინაარსს, პასუხობენ ტექსტის ირგვლივ დასმულ და საყოფაცხოვრებო ხასიათის კითხვებზე, შეუძლიათ მარტივ თემებზე საუბარი, მაგრამ ყველა მოსწავლეს ჯერ კიდევ არა აქვს გამომუშავებული სწორი კითხვისა და წარმოთქმის ჩვევები. გაკვეთილების ძირითად ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ მასწავლებლები ნაკლებად იყენებენ თვალსაჩინოებას, მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომებს უმეტეს შემთხვევაში ასწორებენ თვით მასწავლებლები, გაკვეთილის ინდივიდუალური გამოკითხვის პროცესში და დამახასიათებელი შეცდომების განხილვის მიზნით არ იყენებდნენ დაფას. საკონტროლო წერითი სამუშაოები ჩატარებულია ნორმებისა და სახეების დაცვით, მათი შეფასება ობიექტურია.

მათემატიკის მასწავლებლებზე კლასების განაწილებისას დირექციის მიერ გათვალისწინებულია მასწავლებელთა მომზადება და ცენზი. სკოლაში არის ნორმალური მუშაობისათვის პირობები. ქართული სექტორის X კლასების მასწავლებელი ფ. რაზმაძე გულმოდგინედ ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის. X^1 კლასში გეომეტრიის გაკვეთილზე მან მოხერხებულად გააცნო მოსწავლეებს, ცილინდრისა და კონუსის სრული ზედაპირის გამოსაანგარიშებელი ფორმულები. მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა საკმაო ნაწილი არადამაკმაყოფილებლად სწავლობს. მე-10^2 კლასში ჩატარდა საკონტროლო წერა, საწერად მიეცათ ამოცანა მართი პარალელეპიპედის მოცულობის გამოანგარიშებაზე, ერთი მაჩვენებლიანი განტოლება და ერთი ტრიგონომეტრიული განტოლება. ხუთზე შეფასდა 1 მოსწავლის წერითი ნამუშევარი, „4"-ზე — 2, „3"-ზე — 9 და „2"-ზე — 7 მოსწავლის წერითი ნამუშევარი. მასწ. ფ. რაზმაძე გულდასმით ასწორებს მოსწავლეთა საკონტროლო და საშინაო წერით ნამუშევრებს.

რუსული სექტორის IX—X კლასებს საგნის მცოდნე და ენერგიული მასწავლებელი ა. ფოფხაძე ასწავლის. IX კლასში მან ორ-

წახნაგა კუთხეებთან დაკავშირებით გაარჩია მეტად საინტერესო ამოცანების ამოხსნის ხერხები, მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩაბმული ამოცანების ამოხსნაში. მოსწავლეთა დიდმა უმრავლესობამ კარგად გაიგო განხილული ამოცანების ამოხსნის გზები, ანალოგიურად ქართული სექტორის X კლასისა რუსული სექტორის X კლასსაც საკონტროლო საწერად მიეცა ერთი ამოცანა პრიზმის მოცულობის გამოანგარიშებაზე, ერთი მაგალითი მაჩვენებლიანი განტოლების და ერთი ტრიგონომეტრიულ განტოლების ამოხსნაზე. „4"-ზე შეფასდა 4 მოსწავლის წერითი ნამუშევარი, „3"-ზე—16 და „2"-ზე 7 მოსწავლის წერითი ნამუშევარი.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს IV—VI კლასების მასწავლებელი ი. ნებიერიძე. IV კლასის მოსწავლეებმა საპროგრამო მასალის სათანადო ცოდნა გამოავლინეს: ასევე დამაკმაყოფილებლად მუშაობს VII კლასების დამწყები მასწავლებელი მ. გუნიავა. VIII კლასში მასწავლებელმა ბ. გელაშვილმა ჩაატარა გეგმით გათვალისწინებული საკონტროლო წერა. 24 მოსწავლიდან შეფასება „4" მიიღო 4 მოსწავლემ, „3"—15, „2" მიიღო 7 მოსწავლემ.

ფიზიკის სასკოლო კაბინეტი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. კაბინეტისათვის გამოყოფილია ორი ოთახი; ერთ ოთახში კლასლაბორატორიაა მოწყობილი; არის დაბნელება, დადგმულია 18 ცალი მოსწავლეთა ორადგილიანი ლაბორატორიული მაგიდა, სადემონსტრაციო მაგიდა, გაყვანილია წყალი და სხვ. მეორე ოთახში დგას მერხები. ეს ოთახი გამოყენებულია კლას-აუდიტორიად, სადაც სადემონსტრაციო ცდები ტარდება. ასევე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს კაბინეტის სასწავლო-მატერიალური ბაზა, რომელიც განლაგებულია 10 კარადაში და სუფთად არის შენახული. მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტული მუშაობა ფიზიკაში არ არის დაყენებული დამაკმაყოფილებლად. იმის გამო, რომ ცალკე ოთახებში მეთოდური თვალსაზრისით არასწორად არის განაწილებული ხელსაწყოები, რიგ შემთხვევებში არ ხერხდება არსებული ბაზის მაქსიმალურად გამოყენება. ლაბორატორიაში აწყვია ხელსაწყოები, რომლებიც განეკუთვნება ელექტრობას და სინათლეს, ხოლო აუდიტორიაში—მექანიკას და სითბოს. ერთად არის არეული სადემონსტრაციო ცდების, ლაბორატორიული სამუშაოებისა და პრაქტიკუმების ჩასატარებლად საჭირო ხელსაწყოები. ეს ორი ოთახი არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, მათ შორის პატარა ოთახია, სადაც რადიოკვანძია მოთავსებული. ფიზიკის კაბინეტს არ გააჩნია

საპრეპარატო, სადაც უნდა იყოს მოთავსებული სადემონსტრაციო ხელსაწყოები, რათა მასწავლებლებს საშუალება ჰქონდეთ წინასწარ მოამზადონ ცდები და დატოვონ ცდის დადგმულობა საპრეპარატო-როში ცდის ჩატარებამდე. იმის გამო, რომ ფიზიკის კაბინეტის მოწყობილობის შეძენა წარმოებს არაორგანიზებულად, წინასწარ შედგენილი გეგმის გარეშე, დღეისათვის სკოლას არა აქვს საშუალება პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ლაბორატორიული სამუშაოებისა და ფიზიკური პრაქტიკუმების ჩატარებისა.

სკოლის ფიზიკის მასწავლებლებმა (ფიზიკის კაბინეტის გამგე ნ. კოჩეჩაშვილი) დღემდე არ იციან, რომ არსებობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფიზიკის კაბინეტების ტიპიური სასწავლო მოწყობილობის სიები (განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული 1965 წ. № 6 და № 10). ამით უნდა აიხსნას ის, რომ კაბინეტში არის ხელსაწყოები, რომელთაც არავითარი გამოყენება არა აქვს წლების განმავლობაში. ხელსაწყოები არ არის დანომრილი და არ აქვთ კარადებში მიჩენილი სათანადო ადგილი. ამის გამო არ ხერხდება ცდის ჩატარების შემდეგ ხელსაწყოების დაბრუნება თავის ადგილზე. ამასთან ნაკლები ყურადღება ექცევა სკოლაში თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებას.

ფიზიკის მასწავლებლები მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას ვერ ახდენენ ცოდნის შეფასებისადმი ერთიანი მომთხოვნელობის დაცვით. ცოდნის შეფასებისას არ გამოდიან იმ დადგენილი ნორმებიდან, რომელიც მოცემულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დოკუმენტში „მოსწავლეთა ცოდნის სავარაუდო ნორმები ფიზიკაში" (კრებული № 3—4, 1964 წ. გვ. 40—45), ამით უნდა აიხსნას ის, რომ ცოდნის დაახლოებით ერთნაირი დონე არაერთნაირი ნიშნით ფასდება. საკონტროლო წერითი ნამუშევრების შეფასებისას ხშირად არ არის გათვალისწინებული დაშვებული შეცდომების ხასიათი.

მასწ. ი. კალანდაძე სისტემატურად მუშაობს თავის თავზე, ამაღლებს მეცნიერულ-თეორიულ და მეთოდურ დონეს, ფიზიკის გაკვეთილებს ატარებს მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით; მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისას ახალ მასალასთან ერთად სისტემატურად მოითხოვს საკვანძო საკითხების ცოდნას გავლილი მასალიდან; იგი იყენებს იმ შესაძლებლობას, რომელიც ფიზიკის კაბი-

ნეტს გააჩნია. ახალი მასალის გადაცემისას VI კლასში — „ნნევა ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე, ზიარჭურჭლების კანონი“ / X კლასში „ელექტროენერგიის გადაცემა, განაწილება და გამოყენება, სსრკ-ის ელექტრიფიკაციის მიღწევები და პერსპექტივები“ / პროგრამის შესაბამისად“ — მასწავლებელი არ დაკმაყოფილდა სახელმძღვანელოებში მოცემული მასალით და მოკლედ, მაგრამ ამომწურავად მოუთხრო იმ მიღწევებზე, რომელიც მოპოვებულია დღეისათვის. ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ X კლასის მოსწავლეთა ერთ ნაწილს გაუძნელდა დაესახელებინა სისტემაში ძირითადი ერთეულები სითბოსა და ელექტრობაში. ასევე გაუძნელდათ ვოლტის, ომის, ჯოულის და დინის განსაზღვრა.

მასწ. ნ. კოჩეჩაშვილი გამოცდილი მასწავლებელია, მაღალ პასუხისმგებლობით ატარებს გაკვეთილებს, საკმარის ყურადღებას აქცევს ამოცანებზე ვარჯიშს. ახალი მასალა „ვარდნილი სხეულის სრული ენერგია“ მასწავლებელმა გასაგებად და მისაწვდომად გადასცა, მიაღწია იმას, რომ მოსწავლეებმა ახალი მასალა ძირითადად გაკვეთილზე აითვისეს. ამასთან ერთად, შეინიშნება რიგი ნაკლოვანებებისა: კლასში ამოცანის ამოხსნისას, როცა ამოცანა ამოღებულია კრებულიდან ან სახელმძღვანელოდან, არ არის საჭირო ამოცანის ტექსტის ჩაწერა, საკმარისია ამოცანის პირობის მოკლედ ჩაწერა. საშინაო დავალების დროს არ არის გამართლებული უფრო ძნელი ამოცანების მიცემა, ვიდრე კლასში იყო ამოხსნილი და ისიც ყოველგვარი ინსტრუქტაჟის გარეშე; არ არის დასაშვები მოსწავლეთა საკონტროლო ნამუშევრების შეფასებისას სამი ერთი ინუსით, ორი მინუსით და სამი მინუსით ნიშნების წერა.

IX² კლასის (მასწ. ბ. გელაშვილი) საერთო მომზადება დაბალია. კლასის მოსწავლეთა მეტმა ნაწილმა ვერ დაასახელა ძირითადი ერთეულები CESF და Si სისტემებში. ვერ მოგვცეს განსაზღვრება ისეთი ერთეულების, როგორიც არის დინი, ჯოული, ერგი, სიმძლავრისა და პოტენციალური ენერგიის ერთეულები. საზომი ერთეულების სისტემების სუსტ ცოდნაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ მოსწავლეთა დიდ ნაწილს გაუძნელდა დამოკიდებულების დამყარება ნიუტონსა და დინს შორის, კგმ-სა და ნიუტონს, ასევე გაუძნელდათ მარტივი მაგალითის ამოხსნა $m=-2g$, $F=2g\gamma$, საძიებელია a აჩქარება.

ქიმიის სწავლებისათვის მატერიალური ბაზა ერთგვარად დამაკმაყოფილებელია. გამოყოფილია ცალკე კაბინეტი, რომელიც

უზრუნველყოფილია შესაფერი ინვენტარით და თვალსაჩინოებით. რუსულ სექტორზე მასწ. ე. კუდინოვა ასწავლის ქიმიას. ქართულ სექტორზე ასწავლის მ. ჩხიკვაძე (VII—X კლასები), მხოლოდ მე-8 კლასში ასწავლის ც. ცუცქირიძე. VII[1] და VIII[2] კლასში [illegible] ლის მასალის მიხედვით ჩატარებული იქნა წერა. წერის შედეგები ასეთია: VII[1] კლასში 29 მოსწავლიდან შეფასება „2“ მიიღო სამმა მოსწავლემ, „3“—18 მოსწავლემ, „4“—8 მოსწავლემ. ასევე VII[2] კლასში 24 მოსწავლიდან „2“ მიიღო—6 მოსწავლემ, „3“—13 მოსწავლემ, „4“—5 მოსწავლემ. ნამუშევრების გადასინჯვის შემდეგ გამოირკვა, რომ მასწავლებელმა მ. ჩხიკვაძემ მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები ლიბერალურად შეაფასა. მაგალითად: VII[1] კლასის მოსწავლეების ც. ბარელაძის ნიშანი „5“ ჩამოფასებული იქნა „4“-ზე, ხოლო მოსწავლეების თ. გურიელის, ტ. ბოჭორიშვილის, მ. ხუტაშვილის „4“ ჩამოფასებული იქნა „3“ზე მოსწავლე ლ. ბარაბაძის ნიშანი „4“ ჩამოფასებული იქნა „2“-ზე და ა. შ. ასეთი პრაქტიკა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში მავნეა და მიუღებელი. მასწავლებელი ჩხიკვაძე არასაკმაოდ ამუშავებს მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე. ეს იქიდანაც გამოირკვა, რომ VIII[2] კლასის 24 მოსწავლიდან მარტივი ამოცანის ამოხსნა მხოლოდ ორმა მოსწავლემ შეძლო (რამდენი ბარიუმის ქლორიდია საჭირო, რომ დამზადდეს 200 კგ/16% ხსნარი).

სათანადოდ ვერ ფლობს საგანს ამ სკოლის VIII[3] კლასის ქიმიის მასწავლებელი ც. ცუცქირიძე. გაკვეთილის პროცესში უშვებდა რიგ შეცდომებს. ასე, მაგალითად, მან რეაქციის ტოლობის შედგენისას მარილმჟავით გოგირდმჟავა ნატრიუმიდან გამოაძევა გოგირდმჟავა $Na_2SO_4+2HCl=H_2SO_4+2NaCl$, რაც არ შეიძლება. მარილმჟავა გოგირდმჟავას ნაერთებიდან ვერ აძევებს. სპილენძის ფუძე კარბონატის—მელაქიტის ფორმულად მიაჩნია სპილენძის კარბონატი $CuSO_3$ ეს ნაერთი ბუნებაში არც კი არსებობს. ნატრიუმის ბიკარბონატი გააცნო მოსწავლეებს, როგორც წყალში კარგად ხსნადი მარილი, და ამასთანავე მისცა ზოგადი სახის განმარტება მისი გამოყენების შესახებ, სახელდობრ— „მედიცინაში იგი გამოიყენება სხვადასხვა დაავადებებისათვის“ სინამდვილეში ნატრიუმის ბიკარბონატი იხმარება კუჭის წვენის სიმჟავის საწინააღმდეგოდ, მასწავლებელი ც. ცუცქირიძე გაკვეთილისათვის მოუმზადებელი იყო.

დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ისტორიის სწავლება მე-8 კლასებში (მასწ. სკოლის დირექტორი ალ. გაჩეჩილაძე). მოსწავლეები ერკვევიან ისტორიულ მოვლენებში და ფაქტებში, განსაზღვრავენ ალექსანდრე პირველის რეაქციულ საშინაო პოლიტიკას, რუსი მოაინავე ადამიანების რევოლუციურ შეხედულებათა ჩამოყალიბების წანამძღვრებს, დეკაბრისტების საიდუმლო საზოგადოებებს; პ. პესტელის „რუსკაია პრავდას“ და ნიკიტა მურავიოვის „კონსტიტუციას“; დეკაბრისტების აჯანყებას და მის ისტორიულ მნიშვნელობას; იციან ვ. ი. ლენინის შეხედულებანი დეკაბრისტების აჯანყების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ. ასევე დამაკმაყოფილებლად იციან გავლილი საპროგრამო მასალა—თვითმპყრობელური რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა მე-19 საუკუნის დასაწყისში; ნაპოლეონის მსოფლიო ბატონობის დაპყრობის გეგმა, რუსეთის ხალხის გმირობა, მამაცობა და სიმტკიცე ნაპოლეონის არმიის შემოსევის წინააღმდეგ ბრძოლაში; უკრაინის, ბელორუსიისა და რუსეთის სხვა ხალხების მონაწილეობა ფრანგი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში; ბოროდინოს ბრძოლა, მისი ისტორიული მნიშვნელობა.

ასევე დამაკმაყოფილებლად ისწავლება ისტორია VI კლასში (მასწავლებელი დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ე. გურგენიძე). მოსწავლეებმა იციან საპროგრამო მასალა—სლავთა დასახლება ბიზანტიის იმპერიაში; ხალხთა მასების აჯანყება თომა სლავის მეთაურობით; იმპერიის ძალაუფლების დასუსტება; ბიზანტიის კულტურა—განათლება, არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ძეგლები; არაბთა ტომები VI—VII სს., მათი გაერთიანება. ქვეყნების დაპყრობა არაბთა მიერ; არაბთა სახელმწიფო; დაპყრობილ ხალხთა ბრძოლა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ; სახალიფოს დაშლა; კათოლიკური ეკლესიის ძლიერება; ეკლესიის რეაქციული როლი; საფრანგეთი და ინგლისი XI—XV სს. და სხვ. მასწავლებელმა გააზრებულად ახსნა გაკვეთილი „ჩინეთი შუა საუკუნეებში“. მოსწავლეებმა გადაცემული მასალა კარგად გაიგეს.

X კლასის (მასწ. სკოლის ორგანიზატორი შ. შეყილაძე) მოსწავლეებმა საზოგადოებათმცოდნეობის საკითხების საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს. მათ იციან მარქსიზმ-ლენინიზმის სამი შემადგენელი ნაწილი. მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ-

ტიისა და მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების მიერ; სოციალიზმისა და კომუნიზმის საერთო ნიშნები და თავისებურებანი; სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა ხასიათი; სოციალისტური წარმოების მიზანი, შრომა და განაწილება სოციალიზმის დროს, კლასები და ერები სოციალიზმის დროს, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო და სამართალი; საბჭოთა ადამიანის ძირითადი უფლებები და მოვალეობანი; მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მასწავლებელმა მოხდენილად ახსნა კომუნისტური პარტიის როლი საბჭოთა საზოგადოებაში.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი პ. მალაღურაძე არ ემზადება გაკვეთილების ხარისხიანად ჩატარებისათვის. არა აქვს ჩატარებული გაკვეთილების გეგმები და სასწავლო მეოთხედების მიხედვით გაკვეთილების განაწილების გეგმები. გაკვეთილები ტარდება საპროგრამო მასალის გვერდის ავლით. მესამე მეოთხედში (VIII კლასებში) პროგრამით გათვალისწინებულ ტანვარჯიშული ელემენტების შესწავლის ნაცვლად ტარდება მხოლოდ ფრენბურთი. გაკვეთილებზე ყურადღება არ ექცევა ფიზიკური ვარჯიშების სწორად გამოყენებას, სამწყობრო ვარჯიშებს, საერთო განმავითარებელ ვარჯიშებს და სხვ. მოსწავლეთა შეფასება არ ხორციელდება საერთო წესის მიხედვით. სკოლაში არ არის შექმნილი მოსამზადებელი და სპეციალური სამედიცინო ჯგუფები. გავლილი საპროგრამო მასალის ათვისება და მოსწავლეთა მომზადების დონე არადამაკმაყოფილებელია. სკოლაში შექმნილ ფიზკულტურის კოლექტივის წევრებს შორის განაწილებული არ არის სამუშაო. სპორტლონისძიებების კალენდარი შედგენილია 1969 წლის დეკემბრის თვემდე. არ ხდება ჩატარებული სპორტლონისძიებების აღრიცხვა; არ წარმოებს ჩატარებული შეჯიბრებების ოქმების სათანადოდ გაფორმება და სხვ. სათანადო ყურადღება არ ექცევა მასობრივ ფიზკულტურულ გამაჯანსაღებელ მუშაობას, 1969—1970 სასწავლო წელს არ მოწყობილა ექსკურსია, ლაშქრობა, კროსი და სხვ.

სკოლას აქვს კარგი სპორტული დარბაზი, მაგრამ იგი უზრუნველყოფილი არაა ძირითადი და დამხმარე სპორტული ინვენტარით. აქ მოწყობილია მხოლოდ ფრენბურთის სათამაშო მოედანი, სპორტული ინვენტარის უქონლობით გამოწვეულია ის გარემოება, რომ ფიზიკური აღზდის გაკვეთილები ტარდება საპროგრამო მასალიდან მთლიანად გადახვევით.

წლების განმავლობაში ფიზიკის მასწავლებელი ი. კალანდაძე არაჯანსაღ დამოკიდებულებაშია სკოლის დირექტორ ა. გაჩეჩილა-

ძეხთან. მასწავლებელი ი. კალანდაძე დაუსრულებლად აგზავნის განცხადებებს სხვადასხვა ორგანოებში, რაც იწვევს სკოლის არაერთგზის შემოწმებას და ხელს უშლის სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურად წარმართვას. ამასთანავე ი. კალანდაძე არ ასრულებს სკოლის დირექციის გაკარგულებებს; დირექტორის მოადგილე ე. გურგენიძეს მან უარი უთხრა ასტრონომიის გაკვეთილზე დასწრებაზე. თავის მხრივ სკოლის დირექტორი ა. გაჩეჩილაძე სათანადო ტაქტს ვერ იჩენს ი. კალნადაძის მიმართ; მან თავისი შვილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მე-3 კურსის სტუდენტი ჯ. გაჩეჩილაძე სკოლაში დანიშნა ლაბორანტად ფიზიკაში, რამაც კიდევ მეტად გაამწვავა წინააღმდეგობა ა. გაჩეჩილაძესა და ფიზიკის მასწავლებელ ი. კალანდაძეს შორის. სკოლის დირექტორი ა. გაჩეჩილაძე სავსებით უსაფუძვლოდ თვლის, რომ მას სდევნის პარტიის ზესტაფონის რაიკომი და წერს დაუსაბუთებელ განცხადებებს პარტიის რაიკომის წინააღმდეგ.

ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორმა ა. გაჩეჩილაძემ:

ა) გაატაროს ქმედითი ზომები სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეთა შორის მუშაობას;

ბ) გაზარდოს მასწავლებელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა მომზადების დონის ამაღლების საქმეში, მიაღწიოს იმას, რომ ყველა მასწავლებელი განუწყვეტლივ მუშაობდეს თავისი მეცნიერული დონის ამაღლებისა და პროფესიული დახელოვნებისათვის, გულდასმით ემზადებოდეს ყოველი გაკვეთილისათვის და მაღალ მეცნიერულ, იდეურ და მეთოდურ დონეზე ატარებდეს მას;

გ) ყველა ზომა მიიღოს სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების და სახელოსნოს საჭირო იარაღ-მოწყობილობით და რეაქტივებით უზრუნველყოფისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამით გათვალისწინებული ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოების და ექსპერიმენტის ჩატარება; უზრუნველჰყოს სპორტდარბაზის საჭირო ინვენტარით შევსება;

დ) მიაღწიოს იმას, რომ მასწავლებლები მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისას იცავდნენ დადგენილ წესებს.

2. მკაცრად იქნან გაფრთხილებული სკოლის დირექტორი ა. გაჩეჩილაძე და ფიზიკის მასწავლებელი ი. კალანდაძე, რომ იმუშაონ შეთანხმებულად და კოლეგიალურად, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ფიზიკის ლაბორანტი ჯ. გაჩეჩილაძე, სკოლის დირექტორის ბრძანებით განთავისუფლებულია ლაბორანტის თანამდებობიდან.

4. ზესტაფონის სახალხო განათლების განყოფილებამ (მ. ჩიქოვანი) სასწავლო წლის ბოლოს წარმოადგინოს წინადადებები ამ სკოლის ახალი, 1970—1971 სასწავლო წლიდან კადრების გადაჯგუფების შესახებ, ხოლო ეს ბრძანება განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და სუსტად მომუშავე მასწავლებლებს დაადოს სათანადო სასჯელი.

5. სკოლების სამმართველომ (აკ. ჩხიკვაძე) დააწესოს ზედამხედველობა ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 20 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 7 მაისის გრძანება № 249

ასპინძის საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ასპინძის საბავშვო სახლის (დირექტორი ამხ. პ. ბერიძე) შემოწმებამ გამოავლინა სასწავლო-აღმზრდელობითი და სანიტარულ-ჰიგიენური მუშაობის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

საბავშვო სახლისა და ასპინძის საშუალო სკოლის კოლექტივებს შორის დამყარებულია საქმიანი კავშირი. III მეოთხედში შეფასებული 60 აღსაზრდელიდან ასწრებს 58, ვერ ასწრებს—2.

საბავშვო სახლის აღსაზრდელებში გამომუშავებულია დამოუკიდებელი შრომის ჩვევები, ისინი მორიგეობენ სასადილოსა და სამზარეულოში, მუშაობენ დამხმარე მეურნეობაში. მოზრდილი ბავშვები შეუბას უწევენ პატარებს პირადი ჰიგიენის დაცვის საქმეში.

საბავშვო სახლს საკმაო რაოდენობით აქვს პირველადი დახმარებისათვის მედიკამენტები. თითოეულ ბავშვზე გახსნილია სამედიცინო რუკა. ჩატარებულია ყველა სახის აცრები და პროფილაქტიკური ღონისძიებები.

აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არიან ნორმით გათვალისწინებული რბილი ინვენტარით, სასწავლო ნივთებით და სხვ.

საბავშვო სახლს შეფობას უწევს ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანა (დირექტორი ამხ. ა. ბოკუჩავა), რომელმაც საბავშვო სახლის შენობას ჩაუტარა რემონტი, შეუძინა 2.000 მანეთის ღირებული მაგარი და რბილი ინვენტარი.

მიუხედავად აღნიშნულისა, საბავშვო სახლის მუშაობაში შეიმჩნევა მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, საბავშვო სახლში შემოღებულია აღსაზრდელთა სამჯერადი კვება.

საბავშვო სახლის შენობა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს ასეთი ტიპის დაწესებულების მოთხოვნებს. სივიწროვეა საძინებლებში, საალმზრდელო ჯგუფებში, სასადილოსა და სამზარეულოში. არ არის იზოლატორი, ჰიგიენის ოთახი და აბანო. რბილი და მაგარი ინვენტარი პროდუქტებთან ერთად მოთავსებულია ერთ ჰატარა ოთახში.

პიონერთა ოთახის უქონლობის გამო ძნელდება კლუბგარეშე მუშაობის ჩატარება.

ეზოს სიმცირის გამო შეუძლებელია სათამაშო და სპორტული მოედნების მოწყობა.

ხმარებიდან გამოსულია ზოგიერთი რბილი და მაგარი ინვენტარი: ლეიბები, საბნები, საწოლები, მერხები და ა. შ.

საბავშვო სახლის აღსაზრდელთა სწავლა-აღზრდის გაუმჯობესებისა და ყოფა-ცხოვრებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ასპინძის საბავშვო სახლის დირექტორმა (ამხ. პ. ბერიძე) დაუყოვნებლივ შემოიღოს აღსაზრდელთა ოთხჯერადი კვება და მტკიცე კონტროლი დააწესოს კვების რეჟიმის სწორ ორგანიზაციაზე, კერძების ხარისხზე.

2. საბავშვო სახლისა და ასპინძის საშუალო სკოლის დირექტორებმა (ამხ. ამხ. პ. ბერიძე, ნ. დიასამიძე) მტკიცე კავშირის დამყარებით, პედაგოგიური კოლექტივების დარაზმვითა და ერთობლივი ღონისძიებების გატარებით მიაღწიონ საბავშვო სახლის აღსაზრდელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, მაღალ აკადემიურ წარმატებებსა და ცხოვრებისათვის, პრაქტიკული საქმიანობისათვის მათ მომზადებას.

3. ასპინძის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ (ამხ. ვ. თამაზაშვილი) ყოველდღიურად იზრუნოს საბავშვო სახლის აღსაზრდელთა ყოფა-ცხოვრებისა და სწავლა-აღზრდისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

4. დაისვას საკითხი საქართველოს კპ ასპინძის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების ასპინძის რაისაბჭოს აღმასკომის წინაშე ასპინძის საბავშკო სახლისათვის შესაფერისი შენობის გამოყოფის, მისი მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების უცილებლობის შესახებ.

5. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) კონტროლი დააწესოს ამ გრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 24 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

F-34777

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 8 მაისის ბრძანება № 254

საქართველოს სსრ-ში გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა სკოლების მუშაობის მდგომარეობის შესახებ

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ, საკითხის კოლეგიის 1970 წლის 6 თებერვლის სხდომაზე განხილვამ და გადაწყვეტილებამ „საქართველოს სსრ-ში გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა სკოლების მუშაობის მდგომარეობის შესახებ" ცხადჰყო, რომ რესპუბლიკაში სათანადო მუშაობა ტარდება სკოლა-ინტერნატების ქსელის დიფერენცირების, აღმზრდელ-მასწავლებელთა შერჩევისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. ასე, მაგალითად, სპეციალურ სკოლა ინტერნატებში მომუშავე 662 მასწავლებლიდან 538 უმაღლესი პედაგოგიური განათლებითაა, 74 უმაღლესდაუმთავრებელი და 50 საშუალო (მათ შორის 40 საშუალო სპეციალური) განათლებით.

გარკვეული ღონისძიებები ტარდება ანომალური ბავშვების გამოვლინების, აღრიცხვისა და სწავლებაში ჩასაბმელად. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე რესპუბლიკაში გაიხსნა: კოხნარისა და და მიუსერას დამხმარე სკოლა-ინტერნატები, თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი, თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატთან გაიხსნა სუსტადმხედველთა კლასები.

სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში სათანადო სიმაღლეზე დგას სასწავლო-საალმზრდელო მუშაობა. სწავლება მიმდინარეობს დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად. დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა ცოდნის დონე არითმეტიკაში, მშობლიურ და რუსულ ენებში. მეთოდურად სწორად ტარდება ფიზკულტურის, სიმღერისა და რითმიკის გაკვეთილები.

თბილისის № 1 დამხმარე სპეციალურ სკოლასა და ზოგიერთ სხვა ინტერნატში ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა შრომითი სწავლების საქმეს; ინტერნატებიან გახსნილია ჭრა-კერვის, სადურგლო, სამკინძაო და ფეხსაცმელების შემკეთებელი სახელოსნოები, ხოლო თბილისის ყრუ, უსინათლო და დამხმარე სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელები მეტალოგრაფიულად ჩაბმული არიან ამავე ინტერნატებთან არსებულ სასწავლო საწარმოო სახელოსნოებში.

საინტერესო მუშაობა ტარდება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. მოწყობილია ვ. ი. ლენინის კუთხეები, მისი ცხოვრებისა და რევოლუციონური მოღვაწეობის ამსახველი სტენდები, გამოფენები და სხვ.

სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში სათანადოდაა დაყენებული სამედიცინო მომსახურება. ისინი უზრუნველყოფილი არიან საჭიროა მედიკამენტებით და სამედიცინო ხელსაწყო-იარაღებით. დამაკმაყოფილებელია აღსაზრდელთა პირადი ჰიგიენა.

ინტერნატები უზრუნველყოფილია რბილი და მაგარი ინვენტარით.

მოგვარებულია აღსაზრდელთა კვება და სხვ.

მიუხედავად აღნიშნულისა, რესპუბლიკის სპეციალურ სკოლა-ინტერნატების მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები: რესპუბლიკაში აღრიცხულ და გამოვლინებულ ანომალურ ბავშვთა დიდი ნაწილი დღემდე არაა ჩაბმული სწავლებაში. ასე, მაგალითად, სკოლის გარეთაა დარჩენილი 470 გონებაჩამორჩენილი, 226 ყრუ, 71 სმენადაქვეითებული, 45 უსინათლო, 33 სუსტადმხედველი.

დღემდე ვერ მოხერხდა სპეციალური სკოლა-ინტერნატების გახსნა ძეტყველების მქონე დარღვევისა და პოლიომიელიტით—ცერებრალური პარალიჩით დაავადებულ ბავშვთათვის.

ზოგჯერ ადგილი აქვს არასწორი დიაგნოზის შედეგად ბავშვების სპეცსკოლაში ჩარიცხვის შემთხვევებს. ასე, მაგალითად, ნორმალური ინტელექტის მქონე ბავშვები, რომლებსაც მძიმედ აქვთ დარღვეული მეტყველება (ალალია, დიზარტრია) „დებილის“ დიაგნოზით იგზავნებიან დამხმარე სკოლა-ინტერნატებში.

სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში ბავშვების ჩარიცხვა ხშირად ხდება მედიკურ-პედაგოგიური კომისიების გადაწყვეტილების გარეშე.

სპეციალური სკოლა-ინტერნატები არაა უზრუნველყოფილი უმაღლესი დეფექტოლოგიური განათლების მქონე მასწავლებლებით. რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებში სპეციალური დეფექტოლოგიური განათლებით მუშაობს მხოლოდ 6 მასწავლებელი, ანუ შეადგენს ამ სკოლა-ინტერნატებში მომუშავე მასწავლებელთა მხოლოდ 1%-ს. ამასთან მხოლოდ 9 მასწავლებელია ჩაბმული დაუსწრებელ სწავლებაში დეფექტოლოგიის სპეციალობის მისაღებად. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მასწავლებელთა და აღმზრდელთა საგრძნობი ნაწილი საპენსიო ასაკისაა. თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში მომუშავე მასწავლებელთა ნახევარი უსინათლოა.

სკოლა-ინტერნატებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული შრომითი სწავლება და აღზრდა. ცხოვრებისათვის, პრაქტიკული საქმიანობისათვის აღსაზრდელთა მომზადება. არ არის მოწყობილი საზეინკლო სახელოსნოები, ხოლო სადურგლო და საფეხსაცმელო სახელოსნოებს არ გააჩნია სათანადო პირობები აღსაზრდელთა სწავლებისათვის. უფროსი კლასის აღსაზრდელებსაც კი არ აქვთ ჩვეები ხელსაწყო-იარაღების სარგებლობისა. სახელოსნოებში არაა დიდაქტიკური მასალა და არადამაკმაყოფილებლად მარაგდებიან სწავლებაში ტექნიკური საშუალებებით. ხშირად გამოყოფილი მასალა უხარისხოა და სწავლებისათვის გამოუსადეგარი, გამოყოფილი მასალის ღირებულება კი დიდია. თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში ბინის სივიწროვის გამო არაა მოწყობილი სახელოსნოები.

თბილისის № 1 და № 2 დამხმარე სკოლა-ინტერნატებთან არსებულ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილია ჩაბმული. ხსენებულ სახელოსნოებში არ არის სათანადო პირობები შექმნილი, რომ აღსაზრდელები ეუფლებოდნენ გარკვეულ პროფესიას, მათთვის არაა გამოყოფილი სამუშაო ადგილები და არ ტარდება მეცადინეობა.

ბინის ფართობის სივიწროვის გამო ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში არაა შექმნილი შრომითი სწავლებისათვის პირობები: სამკერვალო სახელოსნო მოთავსებულია ფიზკულტურის დარბაზში, სადაც ყრუ მოსწავლეებთან ერთად მუშაობს წარმოების 12 მუშა და ამავე დარბაზში გაკვეთილებს ატარებს შრომის 2 მასწავლებელი. დარბაზში აუტანელი ხმაურია და მეედველობითი გამღიზიანებელი გარემო ხელს უშლის ყრუ-მოსწავლეთა ყურად-

ლების კონცენტრაციას. არ ხერხდება ოთახის კედლებზე სასაუბრო ხასიათისა და სხვა სახის პლაკატების გამოფენა. ასეთივე მდგომარეობაა სადურგლო და სამკინძაო სახელოს ოშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელთა შრომითი მომზადება ატარებს ჭვრილ ხელოსნურ ხასიათს და არავითარი კავშირი არ აქვს პოლიტექნიკურ სწავლებასთან. აღსაზრდელები ეუფლებიან მხოლოდ ლეიბებისა და ჯაგრისების დამზადების საქმეს, მაშინ როდესაც სკოლა-ინტერნატდამთავრებული აღსაზრდელები იგზავნებიან ისეთ წარმოებებში, სადაც დანერგილია ელექტრო და რადიო ტექნიკის თანამედროვე პროფილები და მეტალისა და მუყაოს მანქანებით დამუშავება.

სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში შრომითი სწავლება უმთავრესად მიმდინარეობს სტანდარტულ და ნახევრად ფაბრიკატულ მასალაზე, რაც ხელს უშლის საპროგრამო მოთხოვნათა ზუსტად დაცვასა და მოსწავლეებში დამოუკიდებელი შრომითი ჩვევების განმტკიცებას.

შრომის მასწავლებელთა დიდი ნაწილის პედაგოგიურ-მეთოდური მომზადების დონე დაბალია, მათ არ ეწევათ სათანადო დახმარება და კონტროლი. დირექტორები და მათი მოადგილეები იშვიათად ესწრებიან შრომის გაკვეთილებს და არ ღებულობენ ზომებს შემჩნეულ ნაკლთა გამოსასწორებლად.

სპეციალური სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელები სათანადოდ უზრუნველყოფილნი არ არიან სპეციალური სახელმძღვანელოებით. ნაკლები ყურადღება ექცევა მეთოდური ლიტერატურის გამოცემის საქმეს. დღემდე მოუგვარებელია სპეციალური სახელმძღვანელოების თარგმნის, შედგენისა და გამოცემის საქმე.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 6 თებერვლის დადგენილებით „საქართველოს სსრ-ში გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა სკოლების მუშაობის მდგომარეობის შესახებ“ დასახულ მოთხოვნათა ცხოვრებაში განსახორციელებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) საფუძვლიანად შეისწავლონ ცალკეულ სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობა, გამოავლინონ ანომალურ ბავშვთა სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანი, შემოწმების შედეგები

განიხილონ პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი;

ბ) სკოლა ინტერნატებში ანომალურ მოსწავლეთა ჩარიცხვა აწარმოონ მხოლოდ მედიკურ-პედაგოგიური კომისიების გადაწყვეტილებათა საფუძველზე და ამ საკითხზე მტკიცედ იხელმძღვანელონ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1969 წლის 1 თებერვლის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით „გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა სკოლებში მიღების შესახებ“;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქცინ აღსაზრდელთა შრომით სწავლებას, სასწავლო სახელოსნოების კეთილმოწყობას, სახელოსნოების სამუშაო ხელსაწყო-იარაღებით და მასალით უზრუნველყოფასა და შრომის სწავლების პროგრამით გათვალისწინებული მასალის საფუძვლიანად ათვისებას;

დ) შეისწავლონ სუსტად მომუშავე შრომის მასწავლებელთა საქმიანობა და ისინი, რომელთაც უნარი არ შესწევთ გარდაქმნან შრომით სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანი, მოქმედი წესის დაცვით, გაათავისუფლონ სამუშაოდან ა/წლის 20 აგვისტომდე;

ე) ამიერიდან შრომის მასწავლებლის თანამდებობაზე წამოაყენონ სათანადო ტექნიკური განათლებისა და პედაგოგიური გამოცდილების მქონე მუშაკები;

ვ) ჰიგიენური პირობების დაცვის მიზნით დააწესონ აღსაზრდელთათვის სახელოსნოებში მუშაობისას სპეცტანსაცმელი და არ დაუშვან სპეცტანსაცმლის გარეშე მათი მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღსაზრდელთა შორის უსაფრთხოების წესების დანერგვასა და დაცვას;

ზ) შეიძინონ და სისტემატურად შეავსონ სკოლა-ინტერნატების ბიბლიოთეკები საჭირო სასწავლო-მეთოდური და ტექნიკური ლიტერატურით;

თ) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით უზრუნველყოფად;

ი) დაინტერესებულ საზოგადოებების პრეზიდიუმებთან და საწარმოო-დაწესებულებებთან ერთად შეისწავლონ სკოლა-ინტერნატებში საჭირო პროფესიების შემოღების აუცილებლობა და საკითხი 1970 წლის დამლევამდე შესათანხმებლად და გადასაწყვეტად შემოიტანონ განათლების სამინისტროში;

კ) მიიღონ ზომები უმაღლესი დეფექტოლოგიური განათლების არმქონე მომუშავე მასწავლებელთა დაუსწრებელ სპეციალურ სწავლებაში ჩასაბმელად.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ჯანმრთელობის დაცვის, სტატისტიკური და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებთან ერთად 1970 წლის 25 ივნისამდე დასახლებულ პუნქტებში კარიკარ წემოვლით დააზუსტონ რაიონის, ქალაქის, ოლქის, რესპუბლიკის მასშტაბით სწავლების გარეშე დარჩენილ 7—16 წლის სასკოლო ასაკის ანომალურ ბავშვთა რაოდენობა თანდართული ფორმის მიხედვით და 1970 წლის 20 აგვისტომდე წარმოადგინონ იგი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში ახალი სასწავლო წლიდან, მათი სწავლებაში ჩაბმის მიზნით (იხილეთ დანართი № 1);

ბ) 1970 წლის 1-ელ სექტემბრამდე ყველა რაიონში, ქალაქში, ოლქსა და რესპუბლიკაში შექმნან მედიკურ-პედაგოგიური სარაიონო, საქალაქო, საოლქო კომისიები სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1969 წლის 12 თებერვლის ტიპობრივი დებულების შესაბამისად და ახალი, 1970—71 სასწავლო წლიდან უზრუნველყონ მათ მიერ მუშაობის გაშლა.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) მასწავლებელთა გადამზადების გეგმაში გაითვალისწინოს სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში მომუშავე მასწავლებელთა პირველ რიგში შრომის მასწავლებელთა გადამზადება, ამასთან, სისტემატური ხასიათი მისცეს სპეციალური სკოლა-ინტერნატების მასწავლებელთა და აღმზრდელთა პედაგოგიური კითხვის მოწყობას.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. ფოფხაძე) განიხილოს დამტკიცებულ საშტატო ერთეულების ყარგლებში დეფექტოლოგიის სექტორის ან ლაბორატორიის გახნის საკითხი.

5. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძე) სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმაში მეტი ადგილი დაუთმოს სპეციალური სკოლებისათვის ორიგინალური თარგმნილი სახელმძღვანელოების გამოცემის საკითხს.

6. მომარაგებისა და დამბმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს სპეციალური სკოლა-ინტერნატების სასწავლო სახელოსნოების მანქანა-დანადგარებით, საქმიანი იარაღითა და მასალებით მომარაგება მათი გაფაცხადებისა-ისეთ ოდენობით.

7. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ს. უჩანეიშვილი) ხელი შეუწყოს ქუთაისში სუსტადმხედველ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მშენებლობის საპროექტო-საძიებელი სამუშაოების დროულად ჩატარებას.

8. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) შეისწავლონ და წარმოადგინონ წინადადება 1971—1972 სასწავლო წლისათვის ქ. თბილისში სუსტადმხედველ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატის გახსნის შესახებ;

ბ) შეისწავლონ ქ. თბილისში სკოლამდელ ყრუ ბავშვთა ბალისა და მეტყველების მძიმე დარღვევისა და პოლიომიელიტგადატანილ—ცერებრალური პარალიჩით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის გახსნის შესაძლებლობის საკითხი და დასკვნა 1970 წლის დამლევამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას.

9. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დღის განყოფილებაზე დეფექტოლოგ მასწავლებელთა მოსამზადებლად ერთი 10 ადგილიანი ჯგუფის გამოყოფის ან ამჟამად მომუშავე მასწავლებელთათვის დაუსწრებლად დეფექტოლოგიის კვალიფიკაციის მისაღებად ერთი 15 ადგილიანი ჯგუფის გახსნის შესახებ.

10. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) სისტემატურად შეისწავლოს სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დაყენება და შემოწმების შედეგები განსახილველად შემოიტანოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიაზე;

ბ) საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად შეისწავლოს 1971—72 სასწავლო წლისათვის დამბმარე სკოლა ინტერნატებში სპეციალური IX კლასების გახსნის საკითხი და დასაბუთებული წინადადება შემოიტანოს კოლეგიაზე განსახილველად;

გ) სისტემატურად შეამოწმოს სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში ანომალურ ბავშვთა ჩარიცხვის შესახებ ინსტრუქციის მოთხოვნილებათა შესრულება და არ დაუშვას მედიკურ-პედაგოგიური კომისიის გადაწყვეტილების გარეშე ამ დაწესებულებაში ანომალიურ ბავშვთა ჩარიცხვის არცერთი შემთხვევა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) 10 დღეში უზრუნველყოს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული რესპუბლიკური და საოლქო (საქალაქო, რაიონული) მედიკურ-პედაგოგიური კომისიების დებულებისა და სპეციალურ სკოლებში ბავშვთა ჩარიცხვის შესახებ ინსტრუქციის თარგმნა და ადგილებამდე დაყვანა;

ე) სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატების რესპუბლიკურ სასწავლო-მეთოდურ კაბინეტთან ერთად უზრუნველყოს სპეციალურ სკოლა-ინტერნატების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების გადამუშავება და ადგილებამდე დროული დაყვანა;

ვ) შეისწავლოს სიღნაღის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მომავალში შენარჩუნების მიზანშეწონილობა და დასკვნა წარმოუდგინოს 1970 წლის 1 აგვისტომდე განათლების სამინისტროს კოლეგიას;

ზ) შეიმუშაოს სპეციალური სკოლა-ინტერნატების კურსდამთავრებულთა მოწმობის ნიმუშები და 1970 წლის III კვარტალში წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად;

თ) 1970 წლის 10 მაისამდე კოლეგიაზე დასამტკიცებლად წარმოადგინოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით რესპუბლიკურ მედიკურ-პედაგოგიური კომისიის შემადგენლობა;

ი) მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 24 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ს ი ა

_____ რაიონ-ს (ქალაქის) სასკოლო ასაკის 7-დან 16 წლამდე ფიზიკური დეფექტების მქონე ბავშვებისა, რომლებიც არ სწავლობენ 1970 წლის 5 მაისის მდგომარეობით

№№ რიგზე	გვარი, სახელი და მამის სახელი	დაბადების წელი, თვე და რიცხვი	სწავლობდა თუ არა, თუ სწავლობდა რამდენი კლ. დაამთავრა	თანახმაა თუ არა მშობლები მოვთავსოთ სკოლა-ინტერნატში (კი ან არა)	ბინის ზუსტი მისამართი	შენიშვნა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 8 მაისის ბრძანება № 267

სიღნაღის რაიონის ბოდბის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ბოდბის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის (დირიქტორი ამხ. ვ. აბულაშვილი) მუშაობის გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ სკოლა-ინტერნატს ერთგვარი წარმატებები აქვს მოპოვებული სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. კოლექტივმა დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით დაამთავრა მიმდინარე სასწავლო წლის II და III მეოთხედები: 221 შეფასებული მოსწავლიდან ყველა საგანში ასწრებს 216 აღსაზრდელი.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ დაწყებითი კლასების მასწავლებლები: ქ. გურასპაშვილი, ლ. შუშტაკაშვილი, ნ. ხელაშვილი, ი. მირიანაშვილი, ქართული ენის მასწავლებელი ე. ქშუტაშვილი, ისტორიის მასწავლებელი დ. კოჭლამაზაშვილი, გეოგრაფიის მასწავლებელი, ე. ქუსიკაშვილი, ბიოლოგიის მასწავლებელი ი. სახოგაშვილი.

დასახელებული მასწავლებლები დაუფლებული არიან საგნის სწავლების ხერხებსა და მეთოდებს, გაკვეთილებზე ხშირად იყენებენ თვალსაჩინოებას, მოსწავლეები ამჟღავნებენ საპროგრამო მასალის ცოდნას.

სკოლა-ინტერნატს დირექცია და მასწავლებლები იცნობენ ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლის გრაფიკს და ერკვევიან სწავლებაში შეტანილ სიახლეთა არსში.

კარგად არის დაყენებული სკოლა-ინტერნატში პიონერული მუშაობა. რაზმეული ჩაბმულია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მიმდინარე ლენინურ ორწლედში.

სკოლა-ინტერნატში დიდი და საინტერესო მუშაობაა გაშლილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება და პირადი ჰიგიენა დამაკმაყოფილებელია.

სკოლა-ინტერნატის შენობა-ნაგებობანი და ინვენტარი კარგადაა შენახული, ხოლო ტერიტორია და ეზო კეთილმოწყობილი. მოგვარებულია აღსაზრდელთა კვების საქმე.

რაიონის განათლების განყოფილება (გამგე ამხ. ე. დალაქიშვილი) სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას ახორციელებს სკოლა-ინტერნატის მუშაობაზე

მიუხედავად ამისა, სკოლა-ინტერნატის მუშაობაში შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს სკოლა-ინტერნატის V კლასის მოსწავლეებმა მშობლიურ ენაში. მასწავლებელი ფ. ჯანიაშვილი ნაკლებადაა დაუფლებული საგნის სწავლების მეთოდებს.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება სკოლა-ინტერნატის V—VIII კლასებში რუსული ენა. მასწავლებელი ნ. შაიშმელაშვილი სუსტად ფლობს საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს, რის გამო მოსწავლეთა ცოდნა რუსულ ენაში დაბალია. ღარიბია მათი სიტყვათა მარაგი, განუვითარებელია კითხვის ტექნიკა, მოსწავლეები დაჩვეულნი არიან გრამატიკული წესებისა და ტექსტების ძექანიკურად დაზეპირებას.

ერთობ დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა. VIII გამოსაშვებ კლასში 14 მარტს ბრიგადის მიერ რუსულ ენაში ჩატარებულ საკონტროლო წერაში 19 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო 17-მა.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას ინტერნატში ფიზიკის სწავლება (მასწ. თ. კოჭლამაზაშვილი), მოსწავლეთა ცოდნაში ნიშნიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზები. VII კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან სხეულების შინაგანი ენერგია, სითბოს რაოდენობა, კუთრი სითბოტევადობა და დნობის სითბოს ცნებები; VIII კლასის მოსწავლეთა ერთი ნაწილი ვერ ერკვევა ელექტრონული დენის სხვადასხვა სახის მოქმედებაში, ტრანსფორმატორის აგებულების პრინციპში; ფიზიკის კაბინეტი უნდა შეივსოს საჭირო ხელსაწყოიარაღებით.

სასწავლო სახელოსნოში საკმაო რაოდენობით არ გააჩნიათ იარაღები და სამუშაო მასალები. ღარიბია ჭრა-კერვის სახელოსნო.

გარკვეული ნაკლოვანებანი შეინიშნება ინტერნატის მუშაობაში დღის მეორე ნახევარში. მოსწავლეებში დანერგილია წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები. აღმზრდელთა სამუშაო გეგმები სრულყოფილად არ არის შედგენილი, ისინი მეტწილად გადატვირთულია რეჟიმული მომენტებისა და აღმზრდელთა მოვალეობის ჩამოთვლით. სათანადოდ არ არის განხორციელებული აღმზრდელების მუშაობაზე კონტროლი და ხელმძღვანელობა უფროსი აღმზრდელისა და დირექციის მიერ.

სკოლა-ინტერნატში კეთილმოსაწყობია აბანო და პირსაბანები

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლა-ინტერნატის დირექტორმა (ამხ. ა. აბულაშვილმა):

ა) უზრუნველყოს დახმარება და კონტროლი მასწავლებელთა და აღმზრდელთა საქმიანობაზე გაკვეთილებსა და სააღმზრდელო ჯგუფის მეცადინეობაზე სისტემატური დასწრება-გაანალიზებისას მისცეს მათ საჭირო მითითებანი და რჩევა დარიგება;

ბ) პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე სისტემატურად მოისმინოს ამა თუ იმ საგნის სწავლების დაყენება და დასახოს ღონისძიებები სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და მოსწავლეთა ცოდნის ასამაღლებლად;

გ) იმკვარად მოაწყოს აღსაზრდელთა დამოუკიდებელი სასწავლო მეცადინეობა, რომ ის უზრუნველყოფდეს მათ მიერ ცოდნის ამაღლებასა და გაღრმავებას;

დ) შეავსოს ფიზიკის კაბინეტი, ქიმიისა და ბიოლოგიის კლასკაბინეტები საჭირო სასწავლო მოწყობილობითა და ხელსაწყოებით;

ე) სათანადოდ მოაწყოს სასწავლო სახელოსნოები და უზრუნველყოს ახალი სასწავლო წლიდან მათში ნორმალური სასწავლო-პრაქტიკული მუშაობის ჩატარება;

ვ) მიიღოს ზომები აბანოსა და პირსაბნების კეთილმოსაწყობად;

ზ) ამთავითვე გაშალოს მუშაობა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა ზაფხულის გამაჯანსაღებელი ღონისძიებების—პიონერული ბანაკის ორგანიზებულად მოსაწყობად და ჩასატარებლად.

2. ცალკეული საგნების მასწავლებლებმა და აღმზრდელებმა მაქსიმალურად გამოიყენონ სასწავლო წლის დამთავრებამდე დარჩენილი დრო განვლილი მასალის განმეორებისა და მოსწავლეთა ცოდნის განმტკიცების უზრუნველსაყოფად, სასწავლო წლის ორგანიზებულად და წარმატებით დასამთავრებლად.

3. სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ე. დალაქიშვილმა);

ა) მეტი დახმარება აღმოუჩიოს რაიონში არსებულ სკოლა-ინტერნატებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლების საქმეში;

ბ) ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიებანი სკოლა-ინტერნატების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად;

გ) სასწავლო წლის ბოლოს, არსებული წესის დაცვით, განიხილოს საკითხი იმ მასწავლებელთა განთავისუფლებისა ან ჩამოქვეითების შესახებ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საგნის სწავლების ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებას.

4. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 24 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კ ო ლ ე გ ი ი ს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1970 წლის 22 მაისი

სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა ობიექტების 1970 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და დაშვებული მიწერების შ ე ს ა ხ ებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა ობიექტების მშენებლობის 1970 წლის გეგმა მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციების მიერ ოთხ თვეში შესრულებული იქნა 24,5%-ით (გეგმა 12.555.0 ათ. მანეთი, შესრულება 3.093.0 ათ მანეთი), მათ შორის:

—სასკოლო მშენებლობაზე 25%-ით (გეგმა 8.125.0 ათ. მან., შესრულება 2.048.1 ათ. მანეთი).

—სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობაზე 23%-ით (გეგმა 3.660.0 ათ. მანეთი, შესრულება 857.2 ათ. მანეთი).

—საბინაო მშენებლობაზე 24%-ით (გეგმა 770.0 ათ. მანეთი, შესრულება 187,7 ათ. მანეთი).

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო კაპიტალდაბანდების 1970 წ. გეგმით გათვალისწინებული მშენებლობის ობიექტები წლის დასაწყისიდანვე უზრუნველყოფილი იყო საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციით და დაფინანსებით, ზოგიერთი მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციის მიერ მიმდინარე წლის 1 მაისისათვის არ იყო დაწყებული გასაშვები ობიექტების მშენებლობა—ხიზაბავრაში, ტვიბში, ვიჩნაში, ფოგაში, წალენჯიხაში, მუხიანში, ცხაკაიაში და ქუთაისში, რაც საფრთხის წინაშე აყენებს მათი დამთავრების და სიმძლავრეთა ექსპლოატაციაში გადაცემის სახელწიფო გეგმების შესრულებას.

ამასთან ერთად, ძალზე დაბალი ტემპით მიმდინარეობს საინიციატივო სასკოლო მშენებლობა გათვალისწინებული ადგილობრივი სახსრებით, საქართველოს სსრ მშენებლობის, სასოფლო მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროების მიერ, რომლებიც შეტანილია 1970 წლის არაცენტრალიზებული კაპიტალდაბანდების გეგმაში.

აღნიშნული ობიექტების წლიური გეგმა ოთხ თვეში შესრულებულია საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მიერ 14%-ით (გეგმა 429.0 ათ. მანეთი, შესრულება 61.0 ათ. მანეთი), სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მიერ 15%-ით (გეგმა 670.0 ათ. მანეთი, შესრულება 100,5 ათ. მანეთი), კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ—6%-ით (გეგმა 562,0 ათ. მანეთი, შესრულება 32.6 ათ. მანეთი).

ზოგიერთი მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციის და სამინისტროს ინჟინერ-ტექზედამხედველის საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო, ადგილი აქვს შესრულებული სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების მოცულობის ხელოვნური გაზრდის შემთხვევებს მიწერების სახით.

არის შემთხვევები, როდესაც მოიჯარადრე მშენებელი ორგანიზაცია თვითნებურად სცვლის მშენებლობისათვის დამტკიცებულ ტექნიკურ დოკუმენტაციას, ხარისხის გაუარესების და მშენებლობის ღირებულების გაუმართლებელი გაძვირებით.

მაგალითად, ხობის რაიონის სოფ. ნოჯიხევის სკოლის მშენებლობაზე საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის მიერ ა/წ 5 იანვრისათვის არ იყო შესრულებული ზეძირკვლის გადახურვის სამუშაოები, მიუხედავად ამისა, ძოძრავი მექანიზირებული კოლონის უფროსის მ. კინწურაშვილისა და ინჟინერ-ტექზედამხედველის ი. შტეინბერგის მიერ დააქტებული და გადახდილი იქნა ამ სამუშაოების ღირებულება 7.941 ათ. მანეთის ოდენობით.

ასპინძის რაიონის სოფ. ხიზაბავრის სკოლის მშენებლობაზე შეუსრულებელი იყო მთელი რიგი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა, რომელიც ფაქტიურად დააქტებულია, როგორც შესრულებული საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის ახალციხის სამშენებლო სამმართველოს საძუშაოთა მწარმოებლის გ. ხართიკაშვილის და ინჟინერ-ტექზედამხედველის დ. ჩიქვინიძის მიერ, ღირებულებით—11.8 ათ. მანეთი, რაც მთლიანად

იქნა გადახდილი. ამასთან ერთად დარღვეულია დამტკიცებული პროექტი და მთელი რიგი სამუშაოებისა შესრულებულია უხარისხოდ, რაც ადასტურებს ინჟინერ ტექზედამხედველის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას დავალებული საქმისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოგდანოვკის რაიონის სოფ. ფოგის სკოლის მშენებლობაზე (ინჟინერ ტექზედამხედველი იგივე დ. ჩიქვინიძე, ბოგდანოვკის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭოს თავმჯდომარე ა. კონდიანი), ჩატარებული იყო საკონტროლო აზომვა, რის შედეგად გამოვლინებულია შეუსრულებელი სამუშაოების მოცულობის მიწერა 7.0 ათ. მანეთის ოდენობით, რომელიც ასევე არასწორად იქნა გადახდილი.

ქ. ფოთის სკოლის მშენებლობაზე 1970 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დააქტებულია შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები—56.300 ათ. მანეთის ოდენობით—ტექზედამხედველი ინჟინერი ზ. ნუცუბიძე № 11 ტრესტის ქ. ფოთის სამშენებლო სამმართველოს ინჟინერი რ. მითიაშვილი. მიმდინარე წლის თებერვალში ჩატარებული საკონტროლო აზომვით გამოვლინებულია არასწორად გადახდილი 6.600 მანეთი.

შეუსრულებელი სამუშაოების მიწერების ფაქტებია გამოვლინებული აკრეთვე ქ. რუსთავის ბაგა-ბაღის მშენებლობაზე—6.2 ათ. მანეთი (ინჟ. ტექზედამხედველი ვ. კვეტენაძე, № 1 ტრესტის სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი ა. ხუციშვილი) მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების სკოლის მშენებლობაზე—5.0 ათ. მანეთი (ინჟ. ტექზედამხედველი შ. ღვალაძე, № 11 ტრესტის სამშენებლო სამმართველოს უფროსი ფ. მამინაიშვილი) და სხვა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგი

ა დ გ ე ნ ს:

1. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაავალოს საქ. სსრ მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის და კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს სპეციალურად განიხილონ შემსრულებელი ტრესტების მიხედვით სასკოლო, საბავშვო დაწესებულებათა ობიექტების, სასკოლო ინტერნატების და სოფლად მომუშავე მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მდგომარეობა და მიიღონ გადაჭრელი ზომები მიმდინარე წელს გასაშვები ობიექტების მშენებლობისა და სიმძლავრეთა ექსპლოატაციაში გა-

დაცემის სახელმწიფო გეგმის დანიშნულ ვადებში შესრულებისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს (ამხანაგი ... ...ლაძე) უზრუნველყოს როგორც სახელმწიფო ცენტრალიზებული, ისე არაცენტრალიზებული კაპდაბანდების გეგმებით გათვალისწინებული გასაშვები განათლების ობიექტები ინვენტარ-მოწყობილობით ა/წლის 15 აგვისტომდე.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა, დასახონ საჭირო ღონისძიებანი 1970 წლის მშენებლობის სახელმწიფო გეგმების აუცილებლად შესრულებისათვის და საჭიროების შემთხვევაში საკითხი დააყენონ ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე;

ბ) დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები 1970 წლის მეორე და მესამე კვარტალში ექსპლოატაციაში გასაშვები სკოლების და საბავშვო ბაგა-ბაღებისათვის საჭირო ინვენტარ-მოწყობილობის შესაძენად გამოყოფილი თანხების მთლიანად ათვისებისათვის და უზრუნველყონ ინვენტარ-მოწყობილობის დროული მიღება-გაზიდვა.

4. ასპინძის რაიონის სოფ. ხიზაბავრის სკოლის მშენებლობაზე დაუმთავრებელი და დეფექტებით შესრულებული სამუშაოების მიღებისა და შეუსრულებელი სამუშაოების მოცულობის ღირებულების გადახდისათვის სამინისტროს ინჟინერ-ტექზედამხედველს—დ. ჩიქვინიძეს გამოეცხადოს საყვედური.

5. ინჟინერ ტექზედამხედველებს ე. კვეტენაძეს, ზ. ნუცუბიძეს, ი. შტეინბერგს, შ. ღვალაძეს, სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა ობიექტების მშენებლობაზე დაუმთავრებელი სამუშაოების მიღებისა და მიწერისათვის, რომელიც დადგენილია სსრკ სახბანკის რესპუბლიკური კანტორის მიერ ჩატარებული საკონტროლო აზომვით, გამოეცხადოთ საყვედური.

6. დაევალოს სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების ყველა ინჟინერ-ტექზედამხედველებს:

ა) სასკოლო მშენებლობის ობიექტებზე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელებისას, განათლების განყოფილებებთან

ერთად მიიღონ საჭირო ზომები, რომ არ იქნეს დაშვებული მშენებლობის ობიექტებზე პროექტების დარღვევის, მიწერების და მშენებლობის გაძვირების ფაქტები;

ბ) არ დაუშვან შეუსრულებელი და დეფექტებით ან ფუჭად ხოდ შესრულებული სამუშაოების მიღება-დააქტება.

7. კაპიტალური მშენებლობის და ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილებებმა:

ა) მიიღონ ზომები მიმდინარე წელს ექსპლოატაციაში გასაშვები სასკოლო ობ ექტების მშენებლობაზე წამოჭრილი ტექნიკური საკითხების ადგილზე ოპერატიულად გადასაწყვეტად და არ დაუშვან უხარისხოდ და პროექტის დარღვევით შესრულებული სამუშაოების მიღება;

ბ) დააწესონ მკაცრი კონტროლი ინჟინერ-ტექზედამხედველების მუშაობაზე, რეგულარულად შეამოწმონ ადგილებზე შესრულებული სამუშაოების მოცულობის და გადახდილი ღირებულების სისწორე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 10 ივნისის ბრძანება № 312

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 აპრილის № 245 დადგენილების —„იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ განხორციელების ზომების შესახებ

ვაქვეყნებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 აპრილის № 245 დადგენილებას „იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“.

„საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ თანამედროვე პირობებში სულ უფრო შეუწყნარებელი ხდება ცალკეულ მოქალაქეთა მიერ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისაგან თავის არიდების ფაქტები, მუქთახორობა, ლოთობა, ამორალური საქციელი.

თუმცა ასეთი პირები შეადგენენ მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილს, მაგრამ თავიანთი ანტისაზოგადოებრივი საქციელით მავნე ზეგავლენას ახდენენ საზოგადოების სხვა არამტკიცე წევრებზე. ხშირად დანაშაულებრივ მოქმედებაში ითრევენ ახალგაზრდებსა და მოზარდებს.

სისხლის სამართლის დანაშაულობათა მნიშვნელოვან რაოდენობას სჩადიან სწორედ ის ადამიანები, რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. რესპუბლიკის მრავალ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც ცუდად არის მოწყობილი ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა, კვლავ დიდი რაოდენობით მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მუქთახორობას ეწევიან.

უკანასკნელ დროს ზოგიერთმა პარტიულმა, საბჭოთა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შეასუსტეს ყურადღება ახალგაზრდათა შრომითი მოწყობისა და ხელახლა აღზრდის საკითხებისადმი, რომლებიც საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას გაურბიან.

იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ანტისაზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევიან, საკმაოდ არ არის გამოყენებული საზოგადოებრივი აზრი, კოლექტიური აღმზრდელობითი ზემოქმედების ძალა. მეტად არასაკმაოა მასობრივ-აღმზრდელობითი ღონისძიებანი, რომლებიც ასეთ პირთა მიმართ ხორციელდება. ნაკლები ყურადღება ექცევა ამ საკითხს პერიოდულ პრესაშიც, რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებში. მუქთახორა ელემენტების ირგვლივ არ არის შექმნილი შეუწყნარებლობისა და საყოველთაო დაგმობის ვითარება.

ადმინისტრაციული ორგანოები და, უწინარეს ყოვლისა, მილიცია არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, რათა დროზე აღკვეთონ იმ პირთა ანტისაზოგადოებრივი საქციელი, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, ამიტომ ბევრი მუქთახორა დაუსჯელი რჩება და ხანგრძლივი დროის განმავლობაში პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა. სუსტად ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობა აღნიშნულ პირთა პასუხისმგებლობისა და შრომითი მოწყობის კანონების შესრულებისადმი.

იშვიათი როდია შემთხვევები, როდესაც მუქთახორა ელემენტებს მოეპოვებათ ფიქციური ცნობები შრომითი მოწყობის ან ინვალიდობის შესახებ, რაც საშუალებას აძლევთ მათ თავი აარიდონ კანონით გათვალისწინებულ ზემოქმედების ზომებს.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდია იმ პირთა რიცხვი, რომლებიც მაწანწალობასა და მათხოვრობას ეწევიან. ეს კონტინგენტი ძირითადად თავმოყრილია აფხაზეთის და აჭარის ტერიტორიაზე, ქ. თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, ზესტაფონში, სამტრედიაში, გარდაბანში, ცხაკაიას, გურჯაანის და ზოგიერთ სხვა რაიონში, რომლებიც რკინიგზების გასწვრივ მდებარეობენ.

„იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბ-

ჭოს 1970 23 თებერვლის № 136 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა დ გ ე ნ ე ნ

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, ამასთან მიიჩნიონ ეს მუშაობა როგორც დისციპლინის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი საშუალება. როგორც მშრომელთა კომუნისტური აღზრდის შემადგენელი ნაწილი.

პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანად ჩაითვალოს ახალგაზრდობის აღზრდა შრომისადმი პატივისცემის, მუქთახორობისა და უსაქმურობისადმი შეურიგებლობის, კომუნისტური მორალის ნორმებისაგან ყოველგვარი გადახრისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. მათ უნდა გამოიჩინონ მუდმივი მზრუნველობა იმისათვის, რომ შეიქმნას ყოველ მშრომელ კოლექტივში და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილზე იმათ მიმართ შეუწყნარებელი დამოკიდებულების ატმოსფერო, ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, ფართოდ იქნეს გამოყენებული ამ მიზნისათვის მშრომელთა კრებები, ამხანაგური სასამართლოები, სასოფლო ყრილობები და საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვა საშუალებანი.

მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე შეისწავლონ იმ პირთა გამოვლინებისა და შრომითი მოწყობის მიმდინარეობა, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, აგრეთვე განახორციელონ მათი შრომითი საქმიანობის შემდგომი კონტროლი, ამ დადგენილების შესაბამისად მიიღონ საჭირო ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

ამ საკითხის განხილვის შედეგებზე იმსჯელონ ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში.

შემდეგში სისტემატური ქმედითი კონტროლი გაუწიონ ყველა იმ პირის ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ცხოვრების აღკვეთის ღონისძიებათა განუხრელად განხორციელებას, რომლებიც არ ეწევიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

ამ დადგენილების შესრულებისათვის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის შედეგები მოხსენდეს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს ყოველწლიურად 1 ნოემბრისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს პროფსაბჭომ და ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა უზრუნველყონ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა იმ პირთა ხელახლა აღზრდაში, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, ხელი შეუწყონ ასეთ პირთა დამაგრებას საწარმოო კოლექტივებში და მიიღონ ზომები მათი მოზიდვისათვის საზოგადოებრივ მუშაობაში.

3. დაწესდეს, რომ ის პირები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, გაიგზავნებიან სამუშაოზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის დადგენილებით, როგორც წესი, მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება საწარმოების, მშენებლობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილება მუშახელზე.

აღმასკომის მიმართვა შრომითი მოწყობის შესახებ სავალდებულოა საწარმოების, მშენებლობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელისათვის, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად.

საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და დაწესებულებების ხელმძღვანელებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ შეიქმნას საჭირო საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები სამუშაოზე მოსაწყობ პირთა ხელახალი შრომითი აღზრდისათვის.

4. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს:

უზრუნველყონ იმ პირთა სისტემატური და სწრაფი გამოვლინება, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და მათი სავალდებლო შრომითი მოწყობა.

კონტროლი გაუწიონ ამ პირთა შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობის დადგენილი წესის დაცვას, რისთვისაც მოაწყონ პროფესიული სწავლება და აწარმოონ მათ შორის აღმზრდელობითი მუშაობა;

მიიღონ საჭირო ზომები, რათა ფართოდ იქნეს მოზიდული საზოგადოებრიობა მუქთახორობის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე გაერთიანდეს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ღონისძიებანი ამ ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ პასუხისმგებლობა ამ მუშაობის ორგანიზაციისათვის დაეკისროს მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს. იმ პირთა გამოვლინებასთან, აღრიცხვასთან და შრომით მოწყობასთან დაკავშირებული მიმდინარე სამუშაოს განსახორციელებლად, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ შეყვანილ იქნეს საჭიროების შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების შემადგენლობაში განთავისუფლებული მუშაკი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისათვის გამოყოფილი საშტატო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ხარჯზე.

5. დაევალოთ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტს, შეიმუშაონ შესაბამისი საკავშირო ორგანოების რეკომენდაციების საფუძველზე, იმ შრომისუნარიან პირთა აღრიცხვის ერთიანი სისტემა, რომლებიც არ ეწევიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და შეისწავლონ იმის მიზეზები, თუ რატომ არ მუშაობენ ისინი.

6. შინაგან საქმეთა სამინისტრომ, პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა ყოველნაირად გააძლიერონ ბრძოლა მუქთახორობასთან, უზრუნველყონ იმ პირთა დროზე მიცემა პასუხისგებაში, კანონით დადგენილი წესით, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას.

გააძლიერონ კონტროლი და უზრუნველყონ იმ თანამდებობის პირთა მიცემა სასტიკ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, რომლებიც იძლევიან ფიქციურ დოკუმენტებს მოქალაქეთა შრომითი მოწყობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უფრო გადაჭრით გამოიყენონ კანონის ძალა ბოროტი მუქთახორების მიმართ, მუდმივი კონტროლი გაუწიონ მათ საქციელს, თავიდან აიცილონ მათი

ბრალ დანაშაულობანი და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედება, ყოველნაირად შეუწყონ ხელი სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ამ პირთა შრომითს მოწყობასა და ხელახლა აღზრდაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ პირთა პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადაწყვეტისას, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, ყურადღება მიაქციონ სოციალისტური კანონიერების უსასტიკესად დაცვის აუცილებლობას.

7. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მიიღოს საჭირო ზომები, რათა გაძლიერდეს ყველა სამკურნალო დაწესებულების პასუხისმგებლობა მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობების გაცემისათვის.

8. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ ორი თვის ვადაში შეამოწმოს იმ შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობის პრაქტიკა, რომლებიც მოქალაქეთა შრომისუნარიანობას ადგენენ, და დაამყაროს მტკიცე წესრიგი, რომელიც გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ გაიცეს ფიქციური დოკუმენტები შრომისუუნარობის შესახებ.

9. განათლების სამინისტრომ, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, უწყებებმა, რომლებსაც თავიანთ გამგებლობაში სასწავლებლები აქვთ, სამი თვის ვადაში შეამოწმონ მთელი იმ კონტინგენტის შრომითი მოწყობა, რომელიც სწავლობს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე და მუშა ახალგაზრდობის სკოლებში. ამიერიდან ასეთი შემოწმება აწარმოონ წელიწადში ორჯერ და არ დაუშვან სასწავლებლად არამომუშავე პირები.

დაწესდეს, რომ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საღამოს და დაუსწრებელი განყოფილებების და მუშა-ახალგაზრდობის სკოლების ხელმძღვანელებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა ამ სასწავლებლებში მიღებისა და სწავლების დადგენილი წესის დარღვევისათვის.

10. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებმა ორი თვის ვადაში განიხილონ მიმღებ-განმანაწილებლებისა და ღრმა მოხუცთა და ინვალიდთა

სახლ-ინტერნატების ქსელის გაფართოების საკითხი და საჭიროების შემთხვევაში წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 თებერვლის № 136 დადგენილების მე-8 პუნქტის თანახმად, საბჭოთა მილიციის დებულების მე-11 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაცვლელად, შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსებს მინიჭებული აქვთ უფლება პროკურორის სანქციით იყოლიონ მაწანწალობისა და მათხოვრობისათვის დაკავებული პირები მიმღებ-განმანაწილებელში იმ დროის განმავლობაში, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გამოირკვეს მათი ვინაობა, გადაწყდეს მათი შრომითი მოწყობის, ღრმა მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში მოთავსების ან მათზე მეურვეობის დაწესების საკითხი ანდა მათ მისაცემად პასუხისგებაში კანონის თანახმად, მაგრამ არა უმეტეს 30 დღე-ღამისა.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტებმა, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა:

გაითვალისწინონ სამუშაოთა გეგმებში საბჭოთა ადამიანების შრომითი აღზრდისა და ყოველგვარი ფორმის პარაზიტიზმის გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების სისტემატურად გაშუქება.

უფრო ღრმად გააშუქონ პრესის ფურცლებზე, რადიოს, ტელევიზიისა და კინოს მეშვეობით სოციალისტურ საზოგადოებაში შრომის მნიშვნელობა და ხასიათი, საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორად შეხამების პრობლემა, უჩვენონ საზოგადოებრიობისა და კოლექტივების როლი ადამიანთა აღზრდაში, უფრო მწვავედ დაგმონ მუქთახორობა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენები.

13. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საჭირო ცვლილებებისა და დამატებების შეტანა მოქმედ კანონმდებლობაში იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას.

მოწონებულ იქნეს პროექტები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებებისა ამ საკითხზე, რომლებსაც შეეცავენ №№ 1, 2 და 3 დანართები და შეტანილ იქნან ისინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მჟავანაძე	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 აპრილის დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

I. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გაატარონ ღონისძიებები, რათა სკოლის ხელმძღვანელებმა და პედაგოგიურმა კოლექტივებმა უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახონ შრომით საქმიანობაში, პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით, იმ კურსდამთავრებულთა ჩაბმა, რომლებიც ვერ აგრძელებენ სწავლას ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში;

ბ) უზრუნველყონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის მიერ განათლების ორგანოებისათვის დადგენილი გეგმის ფარგლებში კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობა;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში პრაქტიკული საქმიანობის უნარ ჩვევების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გამომუშავების, სხვადასხვა პროფესიებისადმი ინტერესის გაღვივების საქმეს. ამ მიზნით რადიკალურად გააუმჯობესონ სკოლებში შრომითი სწავლება და პროფსაორიენტაციო მუშაობა, რათა მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი რვა კლასის დამთავრების შემდეგ ტექნიკუმებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში, სურვილისა და უნარის მიხედვით, ეუფლებოდნენ სხვადასხვა პროფესიებს;

დ) მიიღონ ზომები, რათა სკოლის ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები შრომითი ჩვევების გამოსამუშავებლად უფრო ფართოდ იყენებდნენ ფაკულტატიურ მეცადინეობებს, წრეობრივ მუშაობას, საწარმოო ბრიგადების საქმიანობას, ექსკურსიებს წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, შეხვედრებს წარმოების მოწინავეებთან და სხვა;

ე) შრომითი სწავლების გაუმჯობესებისა და მისთვის პრაქტიკული მიმართულების მისაცემად IX—X კლასებში შრომითი მომზადების გასაფართოებლად გამოიყენონ საწარმოო პრაქტიკისა და ფაკულტატიური მეცადინეობისათვის განკუთვნილი საათები. ამასთან, სოფლის რაიონებში უპირატესობა მიანიჭონ ტრაქტორისა და სხვა სასოფლო საძეურნეო მანქანების მართვის შესწავლას;

ვ) სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიონ საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლებს, იზრუნონ მათი მუშაობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად, რომლებიც ერთმანეთს უთავსებენ სწავლას და შრომას. აღმასკომებთან არსებულ არასრულწლოვანთა კომისიების ნებართვის გარეშე საღამოსა (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლებში არ ჩარიცხონ 16 წლამდე ასაკის ის მოზარდნი, რომელთაც არ დაუმთავრებიათ რვა კლასი; აგრეთვე ის პირნი, რომლებიც არ მუშაობენ. ამასთან, სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ შეამოწმონ მოსწავლეთა მიერ მუშაობის ადგილიდან წარმოდგენილი ცნობების ვარგისიანობა.

8. მიიღონ ზომები, რათა მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეები, რომლებიც არსად არ მუშაობენ, ჩააბან შრომით საქმიანობაში, ხოლო 18 წლამდე ასაკის მქონე მოსწავლეები დააბრუნონ დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შესაბამის კლასებში. ის მოსწავლეები, რომლებიც თავს აარიდებენ სამუშაოზე მოწყობას ამოიღონ სიებიდან.

II. ამ ბრძანების განხორციელებაზე კონტროლი დაევალოს განათლების სამინისტროს სკოლების (აკ. ჩხიკვაძე) და საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების (ვ. ჩინჩალაძე) სამმართველოებს.

მიმდინარე წლის ოქტომბერში შემოწმებულ იქნეს განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ აღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებები და შედეგები მოხსენდეს კოლეგიას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 22 მაისის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი საბავშვო სახლების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შედეგების შესახებ

1970 წლის 12 ივნისი

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი საბავშვო სახლების საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შესახებ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. საქართველოს სსრ საბავშვო სახლების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შედეგების შესახებ რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი ანგარიში დამტკიცდეს.

2. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილ დათვალიერებაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების

მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის **საპატიო სიგელით** შემდეგი საბავშვო სახლები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. კოჯრის № 1 საბავშვო სახლი;
2. ეწრის საბავშვო სახლი;
3. სამგორის საბავშვო სახლი;
4. თბილისის საბავშვო სახლი;
5. ბათუმის საბავშვო სახლი.

შეფი ორგანიზაციები:

1. თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა;
2. ბათუმის სამრეცხაო მანქანების ქარხანა;
3. გეგეჭკორის რაიონის დიდიჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა;
4. ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანა;
5. ონის ჩორდმშენის სამმართველო;
6. სამტრედიის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა;
7. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხანა;
8. თბილისის აბრეშუმის ფაბრიკა;
9. თბილისის საბინაო სამმართველოს საწარმოო კომბინატი.

3. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის **საპატიო სიგელით** შემდეგი კომკავშირის კომიტეტები:

1. თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის;
2. გეგეჭკორის რაიონის დიდიჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის;
3. ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის;
4. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის;
5. ბათუმის სამრეცხაო მანქანების ქარხნის.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ნ. ლალიძე**	პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **დ. იოსელიანი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 12 ივნისის № 318 ბრძანება

საშუალო სკოლების სამხედრო ხელმძღვანელთა რესპუბლიკური ერთთვიანი სასწავლო-მეთოდური შეკრების ჩატარების შესახებ

§ 1

ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად 1970 წ. 7 ივლისიდან 5 აგვისტომდე ჩათვლით ჩატარდეს საშუალო სკოლების სამხედრო ხელმძღვანელთა ერთთვიანი სასწავლო-მეთოდური შეკრება.

§ 2

სასწავლო-მეთოდურ შეკრებაზე მივლინებულ იქნენ იმ საშუალო სკოლების სამხედრო ხელმძღვანელები, სადაც დაწყებითი სამხედრო მომზადება იქნება შემოღებული 1970 წლის 1 სექტემბრიდან და აგრეთვე იმ საშუალო სკოლების სამხდრო ხელმძღვანელები, რომლებსაც ასეთი შეკრება არ გაუვლიათ 1968—1969 წლებში.

§ 3

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დროულად და უკლებლივ მიავლინონ საშუალო სკოლების სამხედრო ხელმძღვანელები შეკრებაზე:

ბ) შეკრებაზე მივლინებულ სამხედრო ხელმძღვანელებს ადგილებზე აუნაზღაურონ სამივლინებო ხარჯები (გზა ორივე მიმართულებით და დღიური 1 მან. და 30 კაპ.) რაოდენობით.

§ 4.

შეკრების უფროსად დაინიშნოს ამხ. ა. ა. ორახელაშვილი, ხოლო სასწავლო ნაწილის უფროსად ამხ. ა. მ. დოროშენკო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

§ 5.

შეკრების უფროსმა (ამხ. ა. ორახელაშვილი):

ა) სამხედრო ორგანიზაციებთან შეთანხმებით შეარჩიოს გამოცდილი, მაღალკვალიფიციური სამხედრო-პედაგოგიური კადრები.

ბ) უზრუნველყოს შეკრების პროგრამის მაღალხარისხოვნად შესრულება.

გ) შეკრების მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მომახსენოს.

§ 6.

სკოლა-ინტერნატის დირექტორმა (ამხ. ზ. უკლებამ) სათანადოდ მოაწყოს სამხედრო ხელმძღვანელთა სადისლოკაციო პუნქტი ნორმალური ცხოვრებისა და მეცადინეობისათვის.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 15 ივნისის ბრძანება № 322

დაუსწრებელი სკოლების ქსელისა და კონტინგენტის 1970—1971 სასწავლო წლის გეგმაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ

დაუსწრებელი სკოლების ქსელისა და კონტინგენტის 1970—1971 სასწავლო წლის მაჩვენებლების უკეთ დაგეგმვის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაიხუროს 1970 წლის 25 ივნისიდან:

ა) გუდაუთისა და გეგეჭკორის დაუსწრებელი საშუალო სკოლები;

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშა-ახალგაზრდობის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის, გარდაბნის რაიონის № 1, მარნეულის რაიონის სოფლების წერეთლისა და ფრეთისა და გარდაბნის რაიონის სოფ. ოქროყანის განყოფილებები;

გ) ქ. ქუთაისის დაუსწრებელი სკოლის ავტოქარხანასთან არსებული სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი.

2. გადაკეთდეს 1970 წლის 25 ივნისიდან:

ა) ქ. სოხუმის დაუსწრებელი საშუალო სკოლის გალის რაიონის სოფ. მზიურის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი სოფ. მზიურის დაუსწრებელ საშუალო სკოლად;

ბ) გუდაუთის დაუსწრებელი საშუალო სკოლის სოფ. კალდახვარის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი სოფ. კალდახვარის დაუსწრებელ საშუალო სკოლად;

გ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშა ახალგაზრდობის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თბილისის დაუსწრებელ საშუალო სკოლად.

დ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშა ახალგაზრდობის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის გარდაბნის № 2, გარდაბნის № 3, ქ. მარნეულის, დაბა წყნეთის, მცხეთის რაიონის სოფ. საგურამოს განყოფილებები—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თბილისის დაუსწრებელი საშუალო სკოლის გარდაბნის № 1, გარდაბნის № 2, ქ. მარნეულის, დაბა წყნეთის, მცხეთის რაიონის სოფ. საგურამოს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებად.

3. გაიხსნას 1970 წლის 25 ივნისიდან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თბილისის დაუსწრებელი საშუალო სკოლის სოფ. ლისის სასწავლო-საკონსულტ-ციო პუნქტი.

4. დამტკიცდეს საგეგმო-საფინანსო და საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების საქმართველოების მიერ წარმოდგენილი 1970—1971 სასწავლო წლის დაუსწრებელი საშუალო სკოლებისა და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების ქსელი და კონტინგენტი (თან ერთვის).

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) მტკიცედ დაიცვან დაუსწრებელი სკოლებისა და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების ქსელისა და კონტინგენტის გეგმა; უზრუნველყონ მისი შესრულება. არ დაუშვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შეუთანხმებლად დამტკიცებულ მაჩვენებლებში რაიმე ცვლილებების შეტანა;

ბ) დაუსწრებელი სკოლების მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა ტარიფიკაცია ჩაატარონ წელიწადში ორჯერ: სასწავლო წლის პირველ და მეორე სემესტრების დასაწყისში, ფაქტიური კონტინგენტის მიხედვით შეიტანონ სათანადო ცვლილებები ტარიფიკაციის მაჩვენებლებში;

გ) დაუსწრებელი სკოლებისა და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების ქსელისა და კონტინგენტის გეგმაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად მოახდინონ ამ სკოლებისა და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების პედაგოგთა შემადგენლობის გადასინჯვა და შედეგები თითოეულ მუშაკს პერსონალურად აცნობონ ა/წლის 25 ივნისამდე.

6. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლს ვავალებ საგეგმო-საფინანსო და საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 12 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 12 ივნისის დადგენილებით

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაუსწრებელი სკოლების და საკონსულტაციო პუნქტების ქსელისა და კონტინგენტის მაჩვენებლები 1970—1971 სასწავლო წლისათვის

	სკოლის და საკონსულტაციო პუნქტის დასახელება	კონტინგენტი		შენიშვნა
		კლასი	მოსწავლ.	
1	ქ. სოხუმის დაუსწ. საშუალო სკოლა . . .	15	294	
2	გალის რაიონის სოფ. ბზიურის დ/საშ. სკოლა .	9	192	
3	გუდაუთის რ-ნი, სოფ. კალდახვარის დაუსწ. საშ. სკოლა	6	142	
	სულ აფხაზეთის ასრ-ში 3 დ/სკოლა	30	628	
4	ბათუმის დაუსწრებელი საშუალო სკოლა . .	10	211	
5	ბათუმის მეზღვაურთა დაუსწ. საშ. სკოლა .	10	209	
	სულ აჭარის ასსრ-ში 2 დ/სკოლა .	20	420	
6	ცხინვალის დაუსწრებელი საშ. სკოლა . . .	12	215	
7	გრომის სს პუნქტი	4	60	
II	ზნაურის სს პუნქტი	8	110	
III	ჯა ის რ. სოფ. ყერულათის სს პუნქტი . .	5	75	
IV	დაბა ჯავის სს პუნქტი	6	90	
V	ზნაურის სოფ. ავნევის სს პუნქტი	9	120	
7	ლენინგორის დაუსწრებელი საშ. სკოლა	15	409	
I	სოფ. ლარგვისის სს პუნქტი	3	75	
II	ზაყოლის სს პუნქტი	3	41	
III	უკანა მხარის სს პუნქტი	3	34	
IV	ორჭოხნის სს პუნქტი	3	32	
	სულ სამხრეთ ოსეთში 2 სკოლა და 9 სს. პუნქტი	71	1271	

1	2	3	4	5
8	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თბილისის დაუსწრებელი საშუალო სკოლა .	24	522	
I	გარდაბნის № 1 სს პუნქტი	16	308	
II	გარდაბნის № 2 სს პუნქტი	17	262	
III	ქ მარნეულის სს პუნქტი	7	138	
IV	მცხეთის რ. სოფ. საგურამოს სს პუნქტი . .	5	121	
V	დაბა წყნეთის სს პუნქტი	5	109	
VI	სოფ. ლისის სს პუნქტი . . .	9	156	
	სულ თბილისში 1 სკოლა და 6 სს პუნქტი	83	1616	
9	ქუთაისის დაუსწრებელი საშ. სკოლა . . .	12	300	
10	ფოთის დაუსწრებელი საშ. სკოლა	4	108	
11	ადიგენის დაუსწრებელი საშ. სკოლა . . .	7	110	
12	ახალციხის დაუსწრებელი საშ. სკოლა	7	136	
13	ახალქ ლაქის დაუსწრებელი საშ. სკოლა .	6	122	
14	ბოგდანოვკის დაუსწრებელი საშ. სკოლა . .	8	120	
1	განძის სს პუნქტი . .	4	90	
	სულ ბოგდანოვკაში 1 სკ. და 1 სს პუნქტი	12	210	
15	სალხინოს დაუსწრებელი საშ. სკოლა . .	4	86	
16	ზესტაფონის დაუსწრებელი საშ. სკოლა . .	10	185	
1	ბოსლევის სს პუნქტი	5	90	
	სულ ზესტაფონის 1 სკ. 1 სს პუნქტი . .	15	275	
17	ლანჩხუთის დაუსწრებელი საშ. სკოლა . .	11	220	
18	მახარაძის დაუსწრებელი საშ. სკოლა . . .	11	259	
1	ძიმითის სს პუნქტი	9	202	
	სულ მახარაძეში 1 სკ., 1 სს პუნქტი .	20	461	
19	მაიაკოვსკის დაუსწრებელი საშ. სკოლა .	8	118	
20	სამტრედიის დაუსწრებელი საშ. სკოლა . . .	12	280	
21	წალკის დაუსწრებელი საშ. სკოლა	6	120	
1	კუშინსკის სს პუნქტი . . .	6	140	
	სულ წალკაში 1 სკ., 1 სს პუნქტი	12	140	

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5
22	წულუკიძის დაუსწრებელი საშ. სკოლა . . .	7	148	
I	გოჩაჯიხაიშის სს პუნქტი	2	48	
II	პროფტექნიკური სს პუნქტი . .	4	84	
	სულ წულუკიძეში 1 სკ., 2 სს პუნქტი	13	280	
23	ჩოხატაურის დაუსწრებელი საშ. სკოლა	4	110	
	სულ რესპუბლიკაში 23 სკოლა და 21 სასწავლო საკონსულტაციო პუნქტი 44 ერთეული	351	7001	

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველოს უფროსი **ვ. ჩინჩალაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 19 ივნისის ბრძანება № 327

რკინიგზის დაწყებით, რვაწლიან, საშუალო, სალამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულების, სახელმძღვანელოებით, ს.სკოლო ინვენტარითა და თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით მათი უზრუნველყოფის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. რკინიგზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ქ. ქ. თბილისში, ქუთაისში, ფოთში, სამტრედიაში, ხაშურში, ზესტაფონში, ბორჯომში, გურჯაანში, ოჩამჩირეში, საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით გამოეყოთ სამოქმედო მიკროუბნები.

2. სახელმძღვანელოებზე განაცხადების შედგენისა და მათი განაწილების დროს გათვალისწინებულ იქნეს ასსრ-ის, ქალაქების, და რაიონების ტერიტორიაზე არსებული რკინიგზის ყველა სკოლისა და სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კონტინგენტი.

3. განათლების სამინისტროს მოქარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არკელაძე) ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სასწავლებელთა განყოფილების მოთხოვნის შესაბამისად გამოუყოს რკინიგზის სკოლებს და სკოლა-ინტერნატებს საჭირო რაოდენობის სასკოლო ინვენტარი და თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა სისტემატურად გაითვალისწინოს რკინიგზის სკოლების მასწავლებელთა გადამზადება.

5. ეთხოვოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს:

ა) რკინიგზის დაწყებითი, რვაწლიანი, საშუალო, საღამოს, (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და სკოლა-ინტერნატების სტატისტიკური ანგარიშების თითო ეგზემპლარი სისტემატურად და დროულად წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს.

ბ) დაავალოს სკოლების, სკოლა-ინტერნატების დირექტორებს, მოსწავლეთა სკოლიდან სკოლაში გადაყვანა-გარიცხვის საკითხი, სათანადო წესის დაცვით, შეუთანხმონ ადგილობრივ განათლების განყოფილებებს.

რკინიგზის სკოლების დისლოკაცია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე თან ერთვის.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 12 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რკინიგზის სკოლების დისლოკაცია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე

აფხაზეთის ასსრ

ქ. სოხუმი

1. სკოლა-ინტერნატი № 2

სოხუმის რაიონი

2. ეშერის რვაწლიანი სკოლა № 18

ქ. ოჩამჩირე

3. საშუალო სკოლა № 15
4. საღამოს სკოლა № 7

ქ. თბილისი

5. საშუალო სკოლა № 1
6. საშუალო სკოლა № 2
7. საღამოს სკოლა № 1
8. საღამოს სკოლა № 5
9. საღამოს სკოლა № 6
10. საგზაო დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლა ათი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტით (თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, სამტრედია, ზესტაფონი, მარელისი, გორი, გურჯაანი, ფოთი)

ქ. ქუთაისი

11. საშუალო სკოლა № 11
12. საშუალო სკოლა № 12
13. საშუალო სკოლა № 23

ქ. ფოთი

14. საშუალო სკოლა № 16.

ქ. სამტრედია

15. საშუალო სკოლა № 13
16. საშუალო სკოლა № 14
17. საშუალო სკოლა № 24
18. საღამოს სკოლა № 3

ქ. ხაშური

19. საშუალო სკოლა № 3
20. საშუალო სკოლა № 4
21. საშუალო სკოლა № 5
22. საღამოს სკოლა № 4

ქ. ბორჯომი

23. საშუალო სკოლა № 6

ქ. გურჯაანი

24. საშუალო სკოლა № 17

ზესტაფონის რაიონი

ქ. ზესტაფონი

25. საშუალო სკოლა № 7

დ. შორაპანი

26. საშუალო სკოლა № 8
27. საღამოს სკოლა № 2

ონჯონიკიძის რაიონი

დ. ხარაგოული

28. საშუალო სკოლა № 10

მარელისი

29. საშუალო სკოლა № 9

ქ. ცხაკაია

30. სკოლა-ინტერნატი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარეჯო

31. რვაწლიანი სკოლა № 19

გარდაბნის რაიონი

კუმისი

32. დაწყებითი სკოლა № 20

ვაზიანი

33. დაწყებითი სკოლა № 21

გაჩიანი

34. დაწყებითი სკოლა № 22

ამიერკავკასიის რკინიგზის სასწავლებელთა
განყოფილების უფროსი დ. ი. ბალანჩივაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ

МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
№ 335 от 25 июня 1970 г.

О результатах проверки работы отдела народного образования Дманисского р-на

Коллегия Министерства просвещения Грузинской ССР отмечает, что отделом народного образования Дманисского района (Зав. РОНО тов. А. Мансуров) проделана определенная работа по дальнейшему развитию народного образования в районе.

Из года в год расширяется сеть средних и восьмилетних школ. За последние два года четыре восьмилетние школы реорганизованы в средние, одна начальная школа—в восьмилетнюю.

Наметились определенные сдвиги и в деле школьного строительства. Так, за последние два года построены школьные здания в селах Гантиади, Мамищло, Шиндиляр, Н. Безакло, Патара Дманиси, В. Орузман и пристройка к школьному зданию в селе Саджа.

Улучшился качественный состав педагогов. За вышеуказанный срок ряды учителей Дманисского района пополнились 48 молодыми специалистами с высшим образованием, 32 учителя завершили заочно высшее образование.

Все эти мероприятия позволили несколько повысить академическую успеваемость учащихся и вернуть в школу часть детей, ранее отсеявшихся из школ.

Выборочная проверка школ показала, что ряд работников школ правильно понимает и решает поставленные перед ними

задачи по воспитанию и обучению подрастающего поколения. К ним относятся: директор Верхне-Орузманской средней школы Дж. Мусаев, учителя той же школы Т. Микаилов (родной язык и литература), Г. Юсифов (математика), учитель 2-го класса Дманисской азербайджанской восьмилетней школы А. Велиев и др.

Однако в деле народного образования, в работе РОНО и школ района имеются серьезные недостатки.

Все еще низок уровень квалификации педагогов. Из 846 учителей, работающих в настоящее время в школах района, только 408 с высшим образованием (48,2%). Ощущается острый недостаток в учителях начальных классов, русского языка, математики, физики.

Есть недостатки и в осуществлении Закона о всеобщем восьмилетнем обучении, 147 детей школьного возраста не обучаются в школах. Только в текущем учебном году из школ отсеялось 25 человек, в том числе из Сафарлойской средней школы (дир. М. Насибов) 5 детей, Нижне-Безаклойской восьмилетней школы (дир. М. Сулейманов) —трое детей, Ормашенской восьмилетней школы (дир. М. Алиева) трое детей, Яйлойской восьмилетней школы (дир. Л. Сихарулидзе) трое детей. Только 68,8% учащихся, поступивших в 1961—1962 учебном году в 1 класс, окончили в 1969 году VIII класс.

В текущем унебном году в IX класс было принято только 70,1% учащихся, окончивших VIII класс.

Одной из причин недостаточного осуществления всеобуча является слабая материальная база школьных интернатов, из-за чего многие девочки —азербайджанки после окончания начальной школы не продолжают учебу в V классе.

Неудовлетворительно состояние материальной базы во многих школах района.

Имеют место серьезные недостатки в работе некоторых руководителей школ и учителей.

Заместитель директора по учебной работе Амамлойской средней школы В. Байрамов слабо руководит учебно-воспитательной работой. Он мало и бессистемно посещает уроки, неглубоко их анализирует. Плохо ведется в школе методичес-

кая работа, руководит ею не В. Байрамов, а организатор внеклассной и внешкольной воспитательной работы.

Учитель родного языка и литературы Амамлойской средней школы И. Гасанов во время письменных контрольных работ разрешает учащимся пользоваться заранее приготовленными конспектами, либерально оценивает эти работы.

Учителя родного языка и литературы Верхне-Орзуманской средней школы И. Исаев и К. Гулиев нерационально используют время на уроках, либерально оценивают знания учащихся.

Учитель математики Дманисской азербайджанской восьмилетней школы Н. Дильбазов нарушает нормы письменных контрольных работ. Учитель Кизилкилсинской средней школы В. Мусаев в V—VII классах дает методически неполноценные уроки. Учительница Верхне-Орузманской средней школы Г. Гулиева неудовлетворительно преподает физику в 8-ых классах.

Проверка показала, что в обследованных школах многие учителя I-ых классов не владеют методикой преподавания математики по новой программе.

П Р И К А З Ы В А Ю:

1. Отделу народного образования Дманисского района (А. И. Мансурову):

а) усилить руководство и контроль за работой школ; направить усилия педагогических коллективов школ на изжитие вышеуказанных недостатков; в первой четверти нового учебного года изучить и проанализировать состояние учебно-воспитательной работы по каждой школе, имеющей низкие показатели в успеваемости учащихся и осуществлении восьмилетнего всеобуча, и принять надлежащие меры;

б) в период летних каникул 1970 года обеспечить полное выполнение плана подготовки учителей на курсах усовершенствования;

в) создать условия для своевременного и качественного ремонта школ; до конца текущего учебного года разработать конкретные мероприятия по улучшению учебно-материальной базы школ, укомплектованию их педагогическими кадрами;

г) к концу учебного года рассмотреть на совете РОНО вопрос о дальнейшей работе В. Байрамова в должности зам. директора Амамлойской средней школы;

д) наложить соответсвующие административные взыскания на учителей, неудовлетворительная работа которых отмечена выше.

2. Зеведующему Дманисским РОНО тов. А. Мансурову предоставить отчет о выполнении настоящего приказа к 1 ноября 1970 года.

3. Управлению школ (тов. А. Е. Чхиквадзе) проконтролировать ход выполнения приказа.

ОСНОВАНИЕ: Постановление Коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 12 июня 1970 г.

Министр Просвещения Грузинской ССР

Т. ЛАШКАРАШВИЛИ

უნივერსალური
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 25 ივნისის ბრძანება № 336

გორის რაიონის განათლების განყოფილების მიერ სკკპ ცკ-ის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის № 874 დადგენილების შესასრულებლად გატარებული ღონისძიებების შედეგების შემოწმების შესახებ

გავეცანი რა გორის რაიონის განათლების განყოფილების გამგის ამხ. ავ. ჩხეიძის მოხსენებასა და განათლების სამინისტროს ბრიგადის მასალებს, აღვნიშნავ, რომ სკკპ ცკ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად გორის რაიონში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სერიოზული წარმატებები იქნა მოპოვებული სწავლების შინაარსის სრულყოფის, მოსწავლეთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის, საყოველთაო ათწლიან სწავლებაზე გადასვლისა და სკოლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად.

სწავლების შინაარსის სრულყოფისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლასთან დაკავშირებით გორის რაიონის განათლების განყოფილება და პედაგოგიური კაბინეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური, თეორიული დონის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნების საქმეს. რაიონის ყველა მასწავლებელს დროულად გაეცნო ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლის გრაფიკი. საგნის მასწავლებელთა დასახმარებლად რაიონში ზონების მიხედვით შეიქმნა მუდმივმოქმედი სემინარები, სადაც ინსპექტორები და მეთოდისტები საჭირო დახმარებას უწევენ პედაგოგებს სწავლების პროცესში წამოჭრილი სიძნელეების დაძლევაში. რაიონის მასწავლებლებს დიდ დახმარებას უწევენ აგრეთვე მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კურს-

სემინარებზე გადამზადებული რაიონის 30 მოწინავე მასწავლებელი და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვლილ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პედაგოგიური კადრების ხარისხობრივი შემადგენლობაც. თუ 1966—1967 სასწავლო წლისათვის 1208 მასწავლებლიდან უმაღლესი განათლებით იყო 605, უმაღლესდაუმთავრებელი—262 და საშუალო პედაგოგიური განათლებით—294, მიმდინარე სასწავლო წელს 1329 მასწავლებლიდან უმაღლესი განათლებითაა—917, უმაღლესდაუმთავრებელი—97. საშუალო სპეციალური განათლებით—251 მასწავლებელი.

მასწავლებელთა პროფესიული დაოსტატებისა და კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისადმი სერიოზული დამოკიდებულების შედეგად რაიონის სკოლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, რაც მთავარია, ცოდნის დონე უფრო საფუძვლიანი და მყარი გახდა, განმტკიცდა დისციპლინა.

გორის რაიონში წარმატებით ხორციელდება სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფის მიზნით სკოლების გამსხვილებისაკენ აღებული კურსი. მიმდინარე წელს 1966 წელთან შედარებით, მცირეკომპლექტიანი სკოლების გაუქმების ხარჯზე, 10 ერთეულით შემცირდა სკოლების რაოდენობა, სამაგიეროდ გაიზარდა რვაწლიანი და საშუალო სკოლების რიცხვი.

1971—1972 სასწავლო წლისათვის IV კლასებში სისტემატური კურსის შემოღებასთან დაკავშირებით გატარდა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიება—ახლომდებარე რვაწლიან და საშუალო სკოლებს შეუერთდა დაწყებითი სკოლების მე-4 კლასები, სადაც საგნობრივი სწავლება იქნა დანერგილი.

დაწყებით კლასებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით განათლების განყოფილების ინიციატივით სკოლებთან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა და უკვე ორი წელია წარმატებით მუშაობს მოსამზადებელი ჯგუფები სწავლების 6 თვის ვადით, სადაც 6 წლის ასაკის ბავშვები წარმატებით ეუფლებიან წერა-კითხვასა და არითმეტიკას 10-ის ფარგლებში.

განათლების განყოფილების ინიციატივითა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერით რაიონში ფართოდ გაიშალა საინიციატივო სასკოლო მშენებლობა. 1969 წელს

საინიციატივო წესით აშენდა ზემო ხვითის რვაწლიანი და მარნის დაწყებითი სკოლების შენობები, ფლავისა და ხელთუბნის საბავშვო ბაღები, საკლასო ოთახები მიუშენდათ ქახვრელის, სკრის საშუალო და თორტიხის რვაწლიან სკოლებს. ადგილობრივი ბიუჯეტისა ჭარბი შემოსავლის ხარჯებიდან სკოლებისათვის შეძენილ იქნა 21.000 მანეთის ხელსაწყო-იარაღები და სასწავლო მოწყობილობა, 68.950 მანეთის ინვენტარი და სხვა. მიმდინარე წელს მიშენებითი სამუშაოები მიმდინარეობს ტყვიავისა და ზერტის საშუალო, არახისის, რეხის, ქვედა სობისის რვაწლიან სკოლებზე. დამთავრების პროცესშია ქახვრელის საშუალო სკოლის სპორტდარბაზის მშენებლობა.

დღითი დღე უმჯობესდება რაიონის სკოლების ფიზიკის, ქიმიის, ბოლოგიის კაბინეტებისა და სახელოსნოების სწავლების ტექნიკური საშუალებებით, ხელსაწყო-იარაღებითა და მოწყობილობებით აღჭურვა, რაიონში შექმნილია ტექნიკურად კარგად გამართული ფილმობაზა სასწავლო-ფილმების მდიდარი ფონდით. ყველა რვაწლიანი და საშუალო სკოლა უზრუნველყოფილია მიწის ნაკვეთებით, რომლებზეც საინტერესო საკვლევაძიებო მუშაობაა გაშლილი.

გორის რაიონს, სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში თვალსაჩინო მიღწევებისათვის, 1967 წელს გადაეცა განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის გარდამავალი დროშა, ხოლო 1968 და 1969 წლებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და რესპუბლიკური პროფსაბჭოს გარდამავალი დროშები.

სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მათი მატერიალური ბაზის განმტკიცების შედეგად წარმატებით ხორციელდება საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონი.

მინიმუმამდეა დაყვანილი სკოლას ჩამოშორებულ მოსწავლეთა რიცხვი, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ 1962—1963 სასწავლო წელს 1 კლასში ჩარიცხულ მოსწავლეთაგან მერვე კლასში სწავლას აგრძელებს 99,3%. მთლიანად და დანიშნულებისამებრ არის გამოყენებული საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფონდი.

წარმატებებია მოპოვებული პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განათლების ორგანოების წინაშე დასახული ამოცანის—

საყოველთაო ათწლიან განათლებაზე თანდათანობით გადასვლის განხორციელების საქმე; 1968—1969 სასწავლო წელს 1469 რვაკლასდამთავრებული მოსწავლიდან IX კლასებში სწავლას აგრძელებდა—1346, ანუ 91,6%.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონში სერიოზული მუშაობა წარმოებს ჩვენი ხალხის რევოლუციურ და შრომით ტრადიციებზე მოსწავლე-ახალგაზრდობის აღსაზრდელად. მიზანმიმართული და უფრო შინაარსიანი გახდა სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობა. პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით სკოლაში ხშირად იმართება შეხვედრები რევოლუციისა და სამამულო ომის ვეტერანებთან, საკოლმეურნეო მოძრაობის პიონერებთან, საკოლმეურნეო შრომის მოწინავეებთან, საბჭოთა არმიის მეომრებთან. ფართოდ იქნა აღნიშნული ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი, ამ თარიღთან დაკავშირებით სკოლებში მოეწყო ბელადისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი მუზეუმები და კუთხეები. შინმოუსვლელთა სტენდები და სხვა. გორის რაიონის მოსწავლეებს თავიანთი შრომით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საკოლმეურნეო დოვლათის წარმოების საქმეში.

გაუმჯობესდა ესთეტიკური ციკლის საგნების სწავლება. ბევრ სკოლასთან შექმნილია მუსიკალური ჯგუფები, სიმღერისა და ცეკვის წრეები.

მაგრამ მიუხედავად ზემოაღნიშნული წარმატებებისა, განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ შეინიშნება ნაკლოვანებები:

რაიონის ყველა სკოლაში არ არის მიღწეული სწავლების ერთნაირი მაღალი დონე; მოწინავე მასწავლებელთა გვერდით, რომლებიც მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე წარმართავენ გაკვეთილებს, გვხვდებიან დაბალი პედაგოგიური კულტურის ქონე მასწავლებლები, რომლებიც თავს ვერ ართმევენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და მოსწავლეებს ვერ აიარაღებენ მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე და მყარი ცოდნით.

ნაკლები ყურადღება ექცევა გაკვეთილებზე თვალსაჩინოების გამოყენებას, ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის გაკვეთილებზე ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით გათვალისწინებული ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების საქმეში.

სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებების მიუხედავად, მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდა მნიშვნელოვნად უსწრებს სასკოლო შენობებს; რაიონის სკოლების 16525 მოსწავლიდან მეორე ცვლაში მეცადინეობს 4378 მოსწავლე. ავარიულ შენობებშია მოთავსებული ლი წითელუბნის, საყავრის, წითელწყაროს, გარდატეხის, პატარა გარეჯვარის სასკოლო შენობები.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონის განათლების განყოფილება და პედაგოგიური კაბინეტი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად სისტემატურად ატარებენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, სკოლებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მეთოდური მუშაობა; მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებებზე წაკითხული მოხსენებების დიდი უმრავლესობა თავისი თეორიული და მეთოდური დონით ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს. რაც მთავარია, მათში სათანადო ადგილი აღ უკავია ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლასთან დაკავშირებით წამოჭრილი პრობლემების დაძლევის გზებისა და ხერხების ძ ებას.

განათლების განყოფილება ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას არ უთმობს შიდასასკოლო კონტროლისა და ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის საქმეს; სკოლის დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში ღრმად არ სწვდებიან სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის საფუძვლიანად ათვისებ ს საკითხს, სათანადოდ არ სწავლობენ თითოეული მასწავლებლის მუშაობას, არ ახდენენ მოწინავე გამოცდილების განზოგადებას, დაწესებული ნორმების მიხედვით არ ატარებენ საკონტროლო წერებს და არ აანალიზებენ მათ შედეგებს.

მოსმენილი გაკვეთილების ანალიზებში, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, გამოკვეთილად არ არის ნაჩვენები თუ როგორ თეორიულ და მეთოდურ ღონეზე ჩაატარა გაკვეთილი მასწავლებელმა და რა ზომებია საჭირო შენიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად.

პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე გამოტანილი საკითხები ყოველთვის არ არის ღრმად და საფუძვლიანად დამუშავებული; მეოთხედურ ანგარიშებში დეტალურად არ არის გაანალიზებული თითოეული საგნის სწავლების კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუ-

ბაობის მდგომარეობა და არ ისახება ქმედითი ღონისძიებანი, სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფისათვის.

სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები სათანადოდ არ ზრუნავენ სხვადასხვა პროფესიებისადმი, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროფესიებისადმი მოსწავლეთა ინტერესების გასაღვივებლად რაიონის მოსწავლეთა კარგი შრომითი ტრადიციების მიუხედავად, ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას საწარმოო ბრიგადების საქმიანობაც.

გაუმჯობესებას საჭიროებს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა და სპორტული—გამავჯანსაღებელი მუშაობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გორის განათლების განყოფილებამ (გამგე ამხ. ავ. ჩხეიძე):

ა) მიიღოს ზომები განათლების განყოფილებასა და სკოლების მუშაობაში შენიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად;

ბ) გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა დირექტორების, სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორების მოადგილეების, ორგანიზატორების და პედაგოგიური კოლექტივების მუშაობაზე.

პერიოდულად შეამოწმოს დადგენილებებითა და ბრძანებებით სკოლებისათვის მიცემული მითითებების შესრულების მიმდინარეობა და იზრუნოს მათ ქმედითუნარიანობაზე;

გ) გადაჭრით გააუმჯობესოს სკოლებში შიდასასკოლო კონტროლისა და ხელმძღვანელობის მეთოდები და მიაღწიოს იმას, რომ სკოლების ხელმძღვანელები ღრმად წვდებოდნენ და აანალიზებდნენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა საკითხს, სრულყოფდნენ და აუმჯობესებდნენ თითოეული საგნის სწავლებას, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობით მუშაობას, რათა სკოლა, ცხოვრების მოთხოვნილებისამებრ, მეცნიერებათა საფუძვლების მყარი ცოდნით აიარაღებდეს მოსწავლეებს;

დ) სწავლების შინაარსის სრულყოფასა და სკოლების ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლასთან დაკავშირებით განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი მასწავლებელთა თეორიული დონისა და პედაგოგიური კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ მიზნით განათლების განყოფილების მიერ ჩატარებული ღონის-

ძიებების სრულყოფასთან ერთად გადაჭრით გააუმჯობესოს სკოლებში მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებების მუშაობის ხარისხი, აღმოფხვრას მათი პრაქტიკიდან ფორმალიზმი და მიაღწიოს იმას, რომ ყოველი წაკითხული მოხსენება თავისი შინაარსით ნამდვილად პასუხობდეს მასწავლებელთა თეორიული დონის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნების სადღეისო მოთხოვნებს. შეისწავლოს და ფართოდ განაზოგადოს მოწინავე სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილება;

ე) დასახოს ღონისძიებანი სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით კიდევ უფრო გააფართოვოს საინიციატივო სასკოლო მშენებლობა და მიაღწიოს ორცვლიანობის შემცირებას, სკოლების გამსხვილებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასკოლო ინტერნატების მშენებლობასა და მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს. აღჭურვოს კაბინეტ ლაბორატორიები და სახელოსნოები სათანადო ხელსაწყო-იარაღებითა და სასწავლო მოწყობილობებით და უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ყველა ცდისა და ლაბორატორიული სამუშაოს შესრულება;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეებში პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გამომუშავებას, სხვადასხვა პროფესიებისადმი ინტერესის გაღვივების საქმეს. ამ მიზნით რადიკალურად გააუმჯობესონ სკოლებში შრომითი სწავლება და პროფსაორიენტაციო მუშაობა. მიიღოს ზომები, რათა სკოლის ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები შრომითი ჩვევების გამომუშავებისათვის უფრო ფართოდ იყენებდნენ ფაკულტატიურ მეცადინეობებს, წრეობრივ მუშაობას, საწარმოო ბრიგადების საქმიანობას და სხვა.

ზ) განათლების სამინისტროს ბრიგადის მოხსენებით ბარათში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებელთა მიმართ გაატაროს სათანადო ზომები. სისტემატური კონტროლი დააწესოს მათ მუშაობაზე, ჩააბას ისინი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებებში და თუ ამის შედეგადაც ეს მასწავლებლები ვერ შესძლებენ მუშაობის გარდაქმნას, სათანადო წესის დაცვით, განათლების სამინისტროს კოლეგიის წინაშე აღიძრას საკითხი მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

თ) მიმდინარე წლის 30 დეკემბრამდე განათლების სამინისტროს წარმოუდგინოს მოხსენებითი ბარათი გამოვლინებულ წაკლოვანებათა გამოსასწორებლად მიღებული ზომების შესახებ.

11. სკოლების სამმართველომ (ამხ. აკ. ჩხიკვაძე) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 12 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 25 ივნისის ბრძანება № 337

მაიაკოვსკისა და თერჯოლის რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა შვილად აყვანის, პატრონირების, მეურვეობისა მზრუნველობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ მაიაკოვსკისა და თერჯოლის რაიონების განათლების განყოფილებებს (გამგეები ამხ. ამხ. ვ. გიორგობიანი, ს. გაბრიჭიძე) უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა შვილად აყვანის, პატრონირების, მეურვეობისა და მზრუნველობის მოწესრიგების საქმეში გაჩნიათ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები.

ხსენებულ რაიონებს დასახლებულ პუნქტებსა და საბავშვო დაწესებულებებში აღრიცხული არ ჰყავთ უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები და მოხარდები. კვარტალურ სამუშაო გეგმებში გათვალისწინებული არ აქვთ საკითხები პატრონირების, გაშვილების, მზრუნველობისა და მეურვეობის დაწესებ ს შესახებ. სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე არ უმსჯელიათ აღნიშნული საკითხის გარშემო. მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად შემოღებული არ აქვთ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა შესახებ საღრიცხვო დოკუმენტაცია და სხვ.

მაიაკოვსკი ა და თერჯოლის რაიონების განათლების განყოფილებები იშვიათად ახდენენ პატრონირებულ, გაშვილებულ და მეურვეობაში მყოფი ბავშვების საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლას. შემოწმებაში ფართოდ არ ჯგამენ სკოლის დირექტორებს, კლასის ხელმძღვანელებს, სოფლის აქტივს. მაიაკოვსკის განათლების განყოფილებას, მაიაკოვსკის სახელობის საშუალო სკოლის დირექციასა და კლასის ხელმძღვანელებ ა არც ერთხელ არ შეუმოწმებიათ VII კლასის მოსწავლის ი. გოგნაძის, VI და VIII კლასების მოსწავლეების ა. და. დ. ქორიძეებისა და სხვათა მდგომარეობა, რომელთაც უხდებათ მეტად მძიმე პირობებში ცხოვრება.

თერჯოლისა და მაიაკოვსკის რაიონების განათლების განყოფილებებს აუთვისებელი რჩებათ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა დახმარების გასაწევი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები. მაიაკოვსკის რაიონის განათლების განყოფილებას 1969 წელს 1200 მანეთიდან აუთვისებელი დარჩა 605 მანეთი, ხოლო თერჯოლის რაიონის განათლების განყოფილებას 180-დან 160 მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერჯოლის რაიონში გაშვილებ ს დროს დარღვეულია მოქმედი ინსტრუქციის მე-16 მუხლი. მცირეწლოვანი შ. ა. ლუტიძე მცხოვრები ზესტაფონის რაიონის სოფ. საზანოში უნდა გაეშვილებია ამავე რაიონის აღმასკომს, დადგენილება კი გამოიტანა თერჯოლის აღმასკომმა, მსგავსი შემთხვევები იშვიათი როდია.

მაიაკოვსკისა და თერჯოლის რაიონების სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებების, სასოფლო საბჭოების აღმასკომის, კოლმეურნეობებისა და ს. ბჭოთა მეურნეობების მუშაკები ნაკლებად იცნობენ საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების 1969 წლის 31 მარტის დამტკიცებულ ინსტრუქციას „უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობის, მზრუნველობისა და შვილად აყვანის წესის შესახებ“.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აღინიშნოს მაიაკოვსკისა და თეორჯოლის რაიონების განათლების განყოფილებებისა და სკოლების სუსტი მუშაობა უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა მზრუნველობის, პატრონირების, მეურვეობისა და შვილად აყვანის მოწესრიგების საქმეში.

2. მაიაკოვსკისა და თერჯოლის რაიონების განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. ვ. გიორგობიანმა, ს. გაბრიჭიძემ):

ა) ზუსტად აღრიცხონ რაიონების სოფლებში, სასკოლო და სკოლამდელ დაწესებულებებში უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები და მოზარდები. უზრუნველყონ მათი პატრონირება, მეურვეობა, მზრუნველობა და შვილად აყვანა მოქმედი ინსტრუქციის ზუსტი დაცვით;

ბ) სამუშაო გეგმებში სისტემატურად გაითვალისწინონ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობის, მზრუნველობისა და გაშვილების საკითხები. შემოწმების შედეგები შეიტანოს განსახილველად რაიაღმასკომისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე;

გ) ინსტრუქციის შესაბამისად შემოიღონ საალრიცხვო ჟურნალები და წლების მიხედვით შეიტანონ მასში რაიონში აღრიცხული უდედმამოდ დარჩენილი პატრონირებული, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი და გაშვილებული ბავშვები ეროვნული ბიბლიოთეკა ბითი სიის მიხედვით ცალ-ცალკე; ზუსტად შეავსონ ფორმა № 103 და უზრუნველყონ მათი განათლების სამინისტროში დადგენილ ვადებში წარმოდგენა;

დ) პატრონირების, მეურვეობის, მზრუნველობისა და გაშვილების დროს არ დაუშვან ინსტრუქციის დარღვევა; უახლოეს მომავალში მოაწყონ დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი საქართველოს სსრ განათლების და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების 1969 წლის 31 მარტის ინსტრუქციის განსახილველად და გასაცნობად;

ე) სისტემატურად შეისწავლონ რაიონში პატრონირებულ, გაშვილებულ და მეურვეობაში მყოფ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობები. შემოწმებაში ფართოდ ჩააბან: სკოლის დირექტორები, კლასის ხელმძღვანელები, მასწავლებლები, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივი: უზრუნველყონ პატრონირებული, მეურვეობაში, მზრუნველობის ქვეშ მყოფი და გაშვილებულ ბავშვთა შესახებ ცალ-ცალკე პირადი საქმეების შედგენა;

ვ) მომავალში არ დაუშვან ბიუჯეტით გათვალისწინებული დახმარების თანხების აუთვისებლობა;

ზ) 1970 წლის 30 დეკემბრამდე წარმოადგინონ მოხსენებითი ბარათი ამ გრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით ჩატარებული მუშაობის შესახებ.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) კონტროლი დააწესოს ამ გრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 12 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 25 ივნისის ბრძანება № 338

საქართველოს სს რესპუბლიკაში საავტომობილო გზებზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შესახებ

საქართველოს სსრ მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკურმა კომისიამ 1970 წლის 9 აპრილის სხდომაზე განიხილა საკითხი საქართველოს სს რესპუბლიკაში საავტომობილო გზებზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შესახებ და აღნიშნა, რომ სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების გადიდებამ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებსა და გზებზე გამოიწვია მოძრაობის ინტენსივობის ზრდა. ჩვენს რესპუბლიკაში ყოველ დღიურად იზრდება როგორც მსუბუქი, ასევე სატვირთო სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა; ქალაქებსა და რაიონებს შორის გახშირებულია სხვადასხვა ტრანსპორტის მიმოსვლა. ტრანსპორტის გაცხოველებული მოძრაობა მოითხოვს ქუჩებსა და გზებზე წესების დაცვას მძღოლებისა და ფეხით მოსიარულეებისაგან. ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევა ყოველთვის როდია მძღოლის მიზეზით მომხდარი, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ უბედურ შემთხვევათა უმრავლესობა გამოწვეულია თვით ბავშვების მიზეზით. მოზაოდებს შორის მოძრაობის წესების უცოდინარობით გამოწვეული ტრავმატიზმი და სიკვდილიანობა უპეტესად დაწყებითი სკოლის მოსწავლეებზე მოდის.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარა ბავშვთა ტრავმატიზმის აღსაკვეთად. მიღებული ზომების მიუხედავად, ჯერ კიდევ ადგილი აქვს მოსწავლეთა შორის უბედურ შემთხვევას.

ზემოგომი ორგანოების დადგენილების თანახმად, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციამ 1967 წელს

მოამზადა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ რესპუბლიკის ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას დაუგზავნა მოსწავლეთა ქუჩაში მოძრაობის წესების შესწავლისა და დაცვის 8 საათიანი გეგმა-პროგრამა. გეგმა-პროგრამაში ასევე ლია მეთოდური მითითებანი და ლიტერატურა. ქუჩაში მოძრაობის წესებზე გამოცემულია 15 დასახელების პლაკატი, ფურცელი და მიმართვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცკ ბიურომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1969 წლის 27 ივნისს მიიღეს დადგენილება „ქუჩის ტრანსპორტით გამოწვეული ბავშვთა ტრავმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

დადგენილების მიღების მიუხედავად, ჯერ კიდევ იშვიათად ვხვდებით რადიო და ტელეგადაცემათა პროგრამებში ამ საკითხებისადმი მიძღვნილ გადაცემებს. რესპუბლიკის ყველა სკოლა არ არის უზრუნველყოფილი მოძრაობის უსაფრთხოების წესების შემსწავლელი საზოგადოებრივი სასკოლო ინსპექტორებით. არასაკმაოდ ტარდება სასწავლო წლის დაწყებისას სემინარული მუშაობა იმ პედაგოგებთან, რომლებიც ასწავლიან მოსწავლეებს ქუჩაში მოძრაობის წესებს. სკოლებში საკმაო რაოდენობით არ არის ქუჩაში მოძრაობის წესების შემსწავლელი წრეები. მშობელთა კრებებზე ყურადღება არ ექცევა მოძრაობის წესების დაცვასა და მშობელთა პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხს. ქუჩაში მოძრაობის უხეშ დამრღვევთა შემთხვევების განხილვა იშვიათად ტარდება კლასის, კომკავშირის კრებებსა და პიონერთა შეკრებაზე. სუსტია მშობელთა აქტივისა და მოსწავლეთა მორიგეობა უმცროსი კლასელების სკოლაში მოსვლისა და წასვლის საათებში.

ირკვევა, რომ უბედური შემთხვევების მიზეზები არის ქუჩაზე არასწორი გადასვლა, მოძრავი ტრანსპორტის წინ ან უკან უეცარი გადარბენა, მიმავალ ტრანსპორტზე შეხტომა-ჩამოხტომა, ქუჩაში თამაშობა, გაჩერებული ტრანსპორტის შემოვლის წესების დარღვევა და სხვა.

1969 წლის მონაცემებით რესპუბლიკაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებმა იმსხვერპლა 77 ბავშვი, დასახიჩრდა 105. აქედან თბილისში—შესაბამისად 8 და 48. გასული წლის 29 აპრილს მე-5 კლასის გოგონას ი. ვ. ოტკალენკოს გარდაბანში ქუჩაზე გადასვლის დროს დაეჯახა მანქანა, რის შედეგადაც ბავშვი

გარდაიცვალა. 2 აგვისტოს ქ. ბათუმის 1-ლი საშ. სკოლის მოსწავლე ც. ა. ანდღულაძე ანალოგიური შემთხვევის მსხვერპლი გახდა (მიდიოდა ქუჩაზე, სადაც არ იყო ტროტუარი). ტრამვაიმ გაატანა თბილისის 29-ე საშ. სკოლის VI კლასის მოსწავლე ფ. ---. შაბათავა; თბილისის 95-ე საშ. სკოლის III კლასის მოსწავლე ვ. ა. ხალათიანი კი უკუსვლით მიმავალი სატვირთო ავტომანქანის მსხვერპლი გახდა. 22/I თბილისის რკინიგზის 1-ლი სკოლის I კლასის მოსწავლე პ. ვ. ჭეიშვილმა გადაირბინა გაჩერებული ტროლეიბუსის წინ მარჯანიშვილის ქუჩაზე, შეეჯახა მის გვერდამქცევ ტროლეიბუსს და მიიღო სხეულის დაზიანება. მსგავსი შემთხვევები საკმაოდ ბევრია.

ბავშვთა ტრავმატიზმის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1958 წლის 4 მარტის № 24 ბრძანების—„ქალაქში, სხვა დასახლებულ პუნქტებსა და საავტომობილო გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ"—შესასრულებლად.

ქუჩის ტრანსპორტით გამოწვეული ბავშვთა ტრავმატიზმის თავიდან აცილებისა და ამ მუშაობის გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ა/რ. განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების წინააღმდეგ საბრძოლველად და ბავშვთა ტრავმატიზმის თავიდან აცილების მიზნით მიიღონ გადამწყვეტი ზომები: გააუმჯობესონ მოსწავლეთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა და საუბრები ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვაზე, მოძრაობის საშუალებათა გამოყენებასა და სარკინიგზო ტრანსპორტზე მოგზაურობის დადგენილი წესების შესრულებისათვის;

ბ) უზრუნველყონ სკოლები მოძრაობის უსაფრთხოების წესების შემსწავლელი საზოგადოებრივი სასკოლო ინსპექტორებით. სახავტოინსპექციის მუშაკებთან ერთად პერიოდულად შეამოწმონ ქუჩაში მოძრაობის წესების შესწავლის ორგანიზაცია;

გ) შექმნან სკოლებში და ბავშვთა საზოგადოებრივ ადგილებზე მოძრაობის უსაფრთხოების წესების ვიტრინები და კუთხეები, სადაც წაომოდგენილი იქნება სათანადო თვალსაჩინო მასალები.

ქუჩაში მოძრაობის წესების სანიმუშო შესრულებისა და მისი დარღვევის შემთხვევები გააშუქონ სკოლის კედლის გაზეთებში;

დ) სისტემატურად განაზოგადონ ბავშვთა ტრავმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ფორმები და მეთოდები;

ე) მტკიცე კონტროლი დააწესონ 8 საათიანი გეგმა-პროგრამის შესრულებაზე და ამ მასალის შესწავლის დროს გაითვალისწინონ მოსწავლეთა ასაკი;

ვ) ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ჩაატარონ სემინარები იმ პედაგოგებისათვის, რომლებიც ასწავლიან მოსწავლეებს ქუჩაში მოძრაობის წესებს.

2. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. აკ. ჩხიკვაძე).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 12 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

სგ. 4/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 241—ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 3
2. ბრძანება № 249—ასპინძის საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 5
3. ბრძანება № 254—საქართველოს სსრ-ში გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა სკოლების მუშაობის მდგომარეობის შესახებ 18
4. ბრძანება № 267—სიღნაღის რაიონის ბოდბის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 27
5. დადგენილება—სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა ობიექტების 1970 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და დაშვებული მიწერების შესახებ 31
6. ბრძანება № 312—საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 აპრილის № 246 დადგენილების—„იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას“ განხორციელების შესახებ 36
7. დადგენილება—ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი საბავშვო სახლების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შედეგების შესახებ 46
8. ბრძანება № 318—საშუალო სკოლების სამხედრო ხელმძღვანელთა რესპუბლიკური ერთთვიანი სასწავლო-მეთოდიური შეკრების ჩატარების შესახებ 48
9. ბრძანება № 322—დაუსწრებელი სკოლების ქსელისა და კონტინგენტის 1970—1971 სასწავლო წლის გეგმაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ 50
10. ბრძანება № 327—რკინისგზის სკოლების შესახებ 56
11. ბრძანება № 335—დმანისის რაიონის განათლების განყოფილების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 61
12. ბრძანება № 336—გორის რაიონის განათლების განყოფილების მიერ სკკპ ცკ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის № 874 დადგენილების შესრულებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ 65
13. ბრძანება № 337—მაიაკოვსკისა და თერჯოლის რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა შვილად აყვანის, პატრონობის, მეურვეობისა და ბიზუნველობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ 73
14. ბრძანება № 338—საქართველოს სს რესპუბლიკაში საავტომობილო გზებზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შესახებ 76